

140 / 3
1960

საქართველოს
ბიბლიოთეკა



პიონერი 4
1960



ლენინი სკოლშიაზი ნაძვის ხესთან.

ნახ. გ. შუკოვიძე

პიონერი




საქართველოს ალკა
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნოკრ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ქრველთვიური საბავშვო
შუკნალი

4

აპრილი
1960

გამოცემის წელი
XXXIV

რედაქტორი რევაზ შარჯიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, შ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი),
შარიფიანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).



ტყუპნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივ იგი
ერთგვარად ჰშვენის:
ვიტყვით—ლენინი,
პარტია გვყავს
წარმოდგენილი,
ვიტყვით—პარტია,
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

უკლინაჲკ გეიკოვსკი

90 წელი ვ. ი. ლენინის დაბადებიდან



8009



ქვეყნული
 ბიბლიოთეკა
ვ.ი.ლენინის
 კავშირდამკვირვებელი
 თბილისის ფილიალი

ლენინის კუჩაუკის

კიონერები შეჩერდნენ შენობაში შესასვლელი კარების გვერდით გაკრულ დაფასთან, რომელზეც ეწერა: ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი, და შეიცადეს ვიდრე მათი ჯერი დადგებოდა. კარებში შესვლისთანავე ხმაური შეწყდა. ოდნავ შეჭალარაგებული კაცი შეეგებათ და ჰკითხათ, საიდან იყვნენ, რომელ კლასში სწავლობდნენ. — ჩვენ მეოთხე საშუალო სკოლიდან ვართ, მეექვსე პირველი კლასელები, — თითქმის ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა და ექსკურსიამძღოლს დავით მგელაძეს ლენინის დარბაზებისაკენ გაჰყენენ.

პირველსავე კარების ზღურბლს გასცდნენ თუ არა, ისინი ქანდაკებასთან შეჩერდნენ: ოთხი წლის ვალოდია ულიანოვს ლამაზი თავი გვერდზე გადაეხარა, მარჯვენა ხელი ქამარში ჩაეყო, მეორე ხელი წიგნებზე დაეჯინა და ოდნავ იღიმებოდა.

კედლებზე ჩამწკრივებული დოკუმენტები თითქოს გაცოცხლდნენ და ერთხელ კიდევ თავიდან დაიწყეს ნამდვილი ამბავი ვალოდია ულიანოვის სიყრმის წლებისა. ოთხმოცდაათი წლის წინათ, 1870 წლის 22 აპრილს, ვოლგისპირა ქალაქ სიმბირსკში, ულიანოვების ოჯახში დაიბადა ბიჭუნა, რომელიც შემდეგ მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისათვის დიდი მებრძოლი გახდა.



ბავშვებმა შეიცადეს, სანამ მათი ჯერი დადგებოდა, სავარძლებში მოთავსდნენ და გაცხოველებული საუბარი გააჩაღეს.

ფოტოსურათები დიდი ილიჩის ოჯახზე მოგვითხრობენ. მამა, ილია ნიკოლოზის ძე, დაფიქრებული გამოიყურება. თავის სიცოცხლეში მან მრავალი სკოლა გაუხსნა გლეხობას და განათლების საქმის გულმოდგინე მოამაგის სახელი დატოვა.

დედა, მარიამ ალექსანდრეს ასული, ნაზი და შუბლგახსნილია. ზამთრის ღამეებში, ადგილობრივ ხელისუფალთა უმსგავსოებით აღშფოთებული ბრუნდებოდა შინ ილია ნიკოლოზის ძე და ბოლშევიკთა გულს იოხებდა. პატარა ვალოდია ხარბად ისმენდა მამის ნაამბობს რუსი გლეხკაცის მძიმე ცხოვრებაზე და მათს ბედზე ფიქრს ეძლეოდა. მაშინ დედა სიყვარულით გადაუსვამდა ხელს თმებზე და ეტყოდა: დაიძინე, შვილო! ისიც მიდიოდა და იძინებდა. არასოდეს წინააღმდეგობას არ გაუწევდა, არასოდეს არ შეუბრუნებდა სიტყვას. ასეთი იყო იგი არა მარტო ბავშვობაში... ერთხელ, როცა ვალოდია უკვე ჭაბუკი იყო, დედამ სთხოვა, თამბაქოს ნუ მოსწევო. ვალოდიამ სიტყვა მისცა, რომ თავს დაანებებდა. მართლაც, ამის შემდეგ მის ხელში თამბაქო არავის უნახავს. დედას უაღრესად პატივს სცემდა, რადგან კარგად ხელაედა, როგორ ზრუნავდა იგი შვილების აღზრდაზე.

ბავშვებმა ახლა მზერა 1874 წელს გადაღებულ ფოტოზე გადაიტანეს. აქ ორნი იყვნენ: ანა და ალექსანდრე, ვალოდიას უფროსი და-ძმა. ზემოთ სხვა სურათია— ალექსანდრესი, მისი სიცოცხლის 21-ე, უკანასკნელ წელს გადაღებული. ალექსანდრე მეტად ნიჭიერი იყო. გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა, პეტერბურგის უნივერსიტეტში საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, როგორც მომავალ მეცნიერზე, მაგრამ მან მეფის წინააღმდეგ ბრძოლის გზა აირჩია. ვალოდიას ალექსანდრე განსაკუთრებულად უყვარდა, მუდამ სჯეროდა მისი და ხშირად ჰბაძავდა კიდევ. თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში ალექსანდრეს ძმისთვის მოჰქონდა პოლიტიკური ლიტერატურა. ამ გზით იწყება ლენინის პირველი ნაცნობობა კარლ მარქსის „კაპიტალთან“.

ბავშვები მეორე კედელთან რომელიღაც დოკუმენტს ფუტკრებივით დაეხვივნენ. ეს იყო 1879 წლის ფოტოსურათი, რომელზეც ვალოდია ულიანოვი უკვე გიმნაზიის პირველი კლასის მოსწავლეა. ექსკურსიამძღოლმა ბავშვებს უკან დაახევინა. გამოჩნდა კლასიკური გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს მიერ გაცემული ქების სიგელი, რომელიც ვალოდიას მაშინ მისცეს, როცა მან მეოთხე კლასი დაამთავრა; აქვეა აგრეთვე იმ წიგნის გარეყდის ფოტო-ასლი, რომლითაც იგი დააჯილდოვეს, და მოსწავლის პირადი ტაბელი. ეს ტაბელი დღევანდელი აკადემიური წარმატების ფურცლის დანიშნულებას ასრულებდა, მაგრამ ცოტა რთული იყო—თითოეულ საგანში სამი შეფასება იწერებოდა: ცოდნის, ყურადღების და ბეჯითობის მიხედვით. დოკუმენტი მოგვითხრობს, რომ ვალოდიას მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ხუთიანები მიუღია, გარდა ერთი შემთხვევისა, და მარტოოდენ ათი გაკვეთილი გაუცდენია, ისიც საპატიო მიზეზით.

დასრულებული



სმენადაძაბული უსმენენ ექსკურსიამძღოლს ნორჩი მსმენელები, ხარბად იჭერენ ისინი ყოველ სიტყვას, რომ უფრო ცხადად წარმოიდგინონ დიდი ილიჩის ნათელი ბავშვობა.



პირველ დარბაზში შესვლისთანავე, პიონერები ოთხი წლის ვალოდია ულიანოვის ქანდაკებას შემოეხვივნენ. სიყვარულით დაუწყეს თვალთვლება ყოველი მხრიდან



**ქართველი
ლეხელი მოსწონდა**
დაემთავრებინა,
ოჯახს თავს და-
ატყდა ახალი
უბედურება: დაა-
პატიმრეს ალექ-
სანდრე ულიანო-
ვი მეფეზე თავ-
დასხმის განზრახ-
ვისათვის, დააპა-
ტიმრეს უფროსი
და ანაც, რომე-
ლიც ამ დროს
პიტერში სწავ-
ლობდა. ეს ამბა-
ვი პირველად ვა-
ლოდიამ გაიგო
და მას ხვდა წი-
ლად იგი დედი-
სათვის ეთქვა.
დღედა სასწრა-
ფოდ გაემგზავრა
პიტერში. ვალო-
დიას დაეკისრა
ზრუნვა უმცროს



«ლენინი გიმნაზიელი»—ასე ეწოდება სკულპტურულ ნაწარმოებს, რომელმაც დანახვისთანავე აღაფრთოვანა პიონერები.

შემდეგი ამბები თანდათან უფრო საინტერესო ხდებოდა. ახლა ჰყვებოდნენ, რომ ვალოდიას უყვარდა საქმის კეთება იმიტომ კი არა, რომ თავიდან მოეშორებინა, არამედ იმიტომ, რომ კარგად გამოსელოდა და კმაყოფილება ეგრძნო.

აი, ვალოდიას მეორე შესანიშნავ ჩვევაზეც მოუთხრობენ: მას შეეძლო ყველაფერი დაეთმო და განზე გადაედო იმ საქმისათვის, რომელიც აუცილებელი იყო. ილიჩს თურმე ძლიერ უყვარდა ციგურებით სრიალი. მაგრამ ამაში ძალიან ბევრი დრო ეკარგებოდა, სწავლაში ხელს უშლიდა და ამიტომ მიატოვა.

მოაქროვილ ჩარჩოში ჩასმული დიდი სურათი ბავშვებს მოუთხრობდა ლენინის სიჭაბუკის ყველაზე მძიმე დღეებზე, როცა ვალოდიამ გამოაგლინა უდიდესი ნებისყოფა. მას გიმნაზიის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე გარდაეცვალა მამა. იმ გაზაფხულზე კი, როცა სასწავ-

დაძმებზე. ამ ძნელ მდგომარეობაში იგი მტკიცედ განაგრძობდა მზადებას საბოლოო გამოცდებისათვის. ამ ხანებში მან ბევრი იფიქრა, ეძებდა პასუხს კითხვებზე, კითხულობდა მარქსს. ორი თვის შემდეგ, როცა ალექსანდრეს ჩამობრჩობის ცნობა მოვიდა, ვალოდიამ ანუ გეშა დედა და თქვა: „არა, ჩვენ არ წავალთ ამ გზით; ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ“. აი, სხვა სურათიც: ვლადიმერ ულიანოვი ამთავრებს გიმნაზიას ოქტომბერში. მისი მერხი დღევანდლამდე შენახულია.

— სად არის ახლა ეს მერხი?—იკითხა თემურ დათაშვილმა.

— ეს მერხი, ჩემო პატარებო, იმავე სკოლაში დგას, სადაც ვალოდია სწავლობდა,—პასუხობს ექსკურსიამძღოლი.

ბავშვები გრძელ ჩარჩოში ჩასმულ დოკუმენტთან ჩერდებიან. ეს—ვლადიმერ ულიანოვის ვრცელი დახასიათებაა, გაცემული გიმნაზიის დირექტორის მიერ. პიონერები გაჭირვებით კითხულობენ პირველ სტრიქონებს: ...ვალოდია ყველა კლასში იყო პირველი მოსწავლე...


ყმაწვილების ყურადღებას იპყრობს თაროებზე გამოფენილი ფოტოასლები: ყაზანის უნივერსიტეტში შესასვლელი სტუდენტის ბილეთი ვ. ულიანოვის სახელზე, განცხადება და ზედ ფულის გადახდის ქვითარი ლექციების მოსასმენად, 1887 წლის 4 დეკემბრის კრებაში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტების სია, სადაც ვლადიმერ ულიანოვიც იხსენიება.

„**ლენინი** იყო ბელადი არა მარტო რუსეთის პროლეტარიატისა, არა მარტო ევროპის მუშებისა, არა მარტო კოლონიური აღმოჩენ-
ლეისა, არამედ დედამიწის მთელი მშრომელი სამყაროსიც...“
„**გახსოვდეთ**, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავ-
ლებელი, ჩვენი ბელადი.
ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და ხმლიეთ
ისინი,—ილიჩისებურად.
აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა,—
ილიჩისებურად.
არახოდეს არ ხტკვათ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან
მცარედისაგან შენდება დიდი,—ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდ-
მნიშვნელოვანი ანდერძი.“

ი. ბ. სტალინი

ეს მოხდა საზიოდე თვეში. მას ჯერ ყაზანის კრემლის საპრობილეში ათავსებენ, მერე ასახლებენ მახლობელ სოფელ კოკუშკინოში. პორიეკინის ლამაზი აკვარელი წარმოსახავს თოვლში ჩაფლულ კოკუშკინოს, აქა-იქ რუსული ქოხების მუქი სილუეტებით. ქვემოთ კვლავ ფოტოპირება დოკუმენტებისა: ვლადიმერ ილიას ძეს უარს ეუბნებიან საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაზე, არც ყაზანის უნივერსიტეტში აბრუნებენ, არც სამკურნალოდ უშვებენ, უწყესებენ უსასტიკეს მეთვალყურეობას. კოკუშკინოში ვალოდია ძალიან ბევრს კითხულობს. კითხულობს თავდავიწყებით, რიჟრაჟიდან შუაღამემდე; კითხულობს ბევრს, მაგრამ მიზნობრივად. თავის ცხოვრებაში იგი მხოლოდ ამგვარად კითხულობდა. მას ხშირად უთქვამს, რომ ყველაფრის კითხვას, თუ იგი რაიმე გარკვეულ ამოცანას არ ისახავს, არაფერია სარგებლობა არ მოაქვსო.

შემდეგი დოკუმენტები მოგვითხრობენ: ვლადიმერ ულიანოვს ნება ეძლევა ექსტერნად ჩააბაროს გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტში. იგი წარმატებით აბარებს გამოცდებს. ულიანოვების ოჯახი საცხოვრებლად გადადის სამარას მახლობლად, ხუტორ ალაკაევკაში. ვლადიმერ ილიას ძე იღებს პირველი ხარისხის დიპლომს და მუშაობს სამარაში ნაფიცი ვეჟილის თანაშემწედ. სასამართლოში მუშაობისას ვალოდია კიდევ უფრო ახლოს ეცნობა რუსი გლეხკაცის ცხოვრებას, ბევრს ფიქრობს რუსეთში სოციალიზმის განვითარების საკითხებზე, კითხულობს, წერს, კამათობს ვიწრო წრეებში.



ყოველი ნივთი, ყოველი ფოტო ძვირფასია, რომელიც კი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, და პიონერები არც ერთ მათგანს არ ტოვებენ გულდასმით გაცნობის გარეშე.

პირველი დარბაზი დათვალიერებულია...თემურ დათაშვილი და გია დაუშვილი ფანჯრის რაფას დაეყრდნენ და ფიქრს მიეცნენ.

ნარგიზა გამყრელიძე და მიხო ბორაშვილი განსაკუთრებით მიიზიდა იმ სტამბის მაკეტმა, სადაც «ისკრის» პირველი ნომერი დაიბეჭდა.

1893 წლის შემოდგომაზე ვლადიმერ ულიანოვი გადადის პეტერბურგში, სადაც უფრო განვითარებული იყო მრეწველობა, ბევრი იყვნენ მუშები. ფოტოდოკუმენტები ვლადიმერ ილიას ძეს წარმოგვიდგინენ როგორც მუშათა მარქსისტული წრის ხელმძღვანელს. ლენინი, ასწავლიდა, რომ მუშათა მოძრაობა და-



შთაბეჭდილებებით დატვირთულნი სტოვებენ ბავშვები მუზეუმის დარბაზებს, ყოველი მათგანი ერთ სურვილს მოუცავს— იყოს ისეთი, როგორც იყო დიდი ლენინი.

სამარებს კაპიტალიზმს, რომ საჭიროა შეუორგებელი ბრძოლა თვითმპყობლობასა და ბურჟუაზიასთან.

ამგვარად, ჯერ კიდევ 23 წლის ახალგაზრდა, თავის

„ღღეს ლენინის იდეებით ცოცხლობს ყოველივე ხალხთათვის, ყოველივე პატიოსანი და მოწინავე მსოფლიოში. ლენინიზმისადმი ერთგულება კომუნისტური მშენებლობის მომავალ გამარჯვებათა საწინდარია.“

ნ. ს. ხრუშჩოვი

„ის ლაპარაკობს საკვირველად უბრალო ხიტყვებით, რჯინის ენით.“

მ. გორაკი

სიცოცხლეს სამუდამოდ უკავშირებს რევოლუციის საკმეხს. ამის შესახებ სხვა დარბაზები მოგვითხრობენ.

ლენინი აერთიანებს დაქსაქსულ მარქსისტულ წრეებს და ქმნის ორგანიზაციას— „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს“. წერს თავის პირველ შრომებს, უშვებს ფურცლებს. პეტერბურგში იწყება მუშათა დიდი გაფიცვები... ლენინს აპატიმრებენ... 14 თვე პეტერბურგის საპყრობილეში, შემდეგ სამწლიანი გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში, სოფელ შუშენსკოეში. აქ ლენინმა ოცდაათზე მეტი ნაწარმოები შექმნა. აქვე მოიფიქრა მომავალი მუშაობის გეგმა. 1900 წლის იანვარში ლენინი ბრუნდება გადასახლებიდან. ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ მისი ხელმძღვანელობით გერმანიაში გამოვიდა სოციალ-დემოკრატების მებრძოლი გაზეთი „ისკრა“, რომელიც ფარულად იგზავნებოდა რუსეთში. გაზეთი იბრძოდა ერთიანი პარტიის შესაქმნელად და ყოველგვარი ცრუმარქსისტების წინააღმდეგ.

ერთმანეთს მისდევენ ცეცხლოვანი თარიღები: 1905 წლის რევოლუციის დასაწყისი რუსეთში; ლენინისა და ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკებთან; ლენინი ამუშავებს პროლეტარული რევოლუციის ახალ თეორიას და ტაქტიკას. რევოლუცია მარცხდება. დგება რეაქციის ხანა. ბოლშევიკები იატაკქვეშეთში გადადიან. ლენინი კვლავ ემიგრაციაშია.

1912 წელი. ლენის ოქროს სარეწებზე მუშებს ხვრეტენ. იწყება რევოლუციური აღმავლობა. პეტერბურგში გამოსვლას იწყებს ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“.

...პირველი მსოფლიო ომი...

...თებერვლის რევოლუცია რუსეთში. ლენინი ბრუნდება საზღვარგარეთიდან, და ბოლომდე მიჰყავს რევოლუცია. 1917 წლის 25 ოქტომბერს დროებითი მთავრობა დაეცა. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი ლენინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა. გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა, რომელიც ღებულობს ლენინურ დეკრეტებს ზავისა და მიწის შესახებ.

პიონერები კვლავ ახალი დარბაზებისაკენ მიიწევენ. მათ თვალწინ იშლება სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მძიმე დღეები, მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის პირველი წლები, პირველი მიღწევები, და ბოლოს, უმძიმესი დანაკლისი— ლენინის გარდაცვალება.

ბავშვები შთაბეჭდილებებით დატვირთულნი გამოდიან უკანასკნელ დარბაზიდან და თეთრი მარმარილოს კიბეებზე უხმაუროდ, დაფიქრებულნი ეშვებიან. თითოეული მათგანი ერთ სურვილს მოუცავს: იყვნენ ღირსეული შვილები საბჭოთა ქვეყნისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლენინმა, იყვნენ ისეთნი, როგორც იყო დიდი ლენინი.

ე. სახვაძე

ჩვენს გუნში ცოცხლობს

ლენინი

ნონს ცნებთა
სიბღურა

ცნობი შაბათობაზე

არ დგებოდა ხალხი იმ დღეს
სალალობოდ, გასართობად,
დილიდანვე ყიჟინებდა:
— შაბათობა, შაბათობა!

და ლენინიც, ქვეყნის მამა,
ვინც მშრომელი გაახარა,
ჩაიკვამდა იმ კვირა დღეს
მუშურ ჩექმებს, მუშურ ხალათს;

ჩაირბენდა კიბეს მკვირცხლად,
მოლიმარი ქვეყნის კარგით,
და მუშებში ჩადგებოდა
როგორც ძმა და ამხანაგი.

საქმეს ისე შეუტევდა,
თითქოს რკინის ხელი ჰქონდა,
აქ აგურებს ალაგებდა,
იქით ღორღი გადაჰქონდა.

არ იცოდა დაღონება,
არც ნაბიჯის შენელება,
გაიდებდა დიდ მორს მხარზე
და მიჰქონდა მშენებლებთან.

მშრომელს შრომა შეაყვარა,
აპოვნინა ქვეყნის განძი,—
არ შობილა კაცი ასე
ყველაფერში მისაბაძი.

ბ. კაჭახიძე

თ. ჯანგულაშვილი



ღიპი ცნობის სახელი

ვსწავლობთ, ვმრთობთ და ვიბრძვით,
ზოცა დაგვანათის ვლყარო,
დიდია ჩუნი მიზნებში,
ვიპყრობთ დაუპყრებ მწყვარაღვს.
შისს გელში ბოგორ გაავლავით,
გმირელ საცმეფის დაფებით,
ჩვენ მიწას ავაყვავილავით,
ჩვენ ვაფებინდებთ მთავარზე.
ფართ სალი ვლდისგან ნათაღნი,
ურღვევი ფიცით შევარღნი,
ყვოღვან, ყოფოღვის მართაღნი,
ღვდასამშობოღის ერთგულნი.
ღიადი ქვოღვის მიწაღვართ,
მის მზეში თვაღვმგასოღიღით,
გზას მივგინათაღვს ჩიბაღვდაღ
დიდი ლენინის სახელი!

ბ. კაჭახიძე



პიონერული ფიცა

ჩვენ ლენინმა გვიანდერძა:
სწავლა, სწავლა, ისევ სწავლა,
რომ საბჭოთა მშენებელი
ჩვენს ქვეყანას ჰყავდეს მრავლად.

ლენინ ჩვენო, ბრძენთა-ბრძენო,
შენს ბრწყინვალე სახელს ვფიცავთ,
შევასრულებთ უკვდავ ანდერძს,
ხალხის დიად ფიცს დავიცავთ!

ჩვენ ლენინმა გვიანდერძა:
შრომა, შრომა, ისევ შრომა,
რომ დიადი კომუნისმის
დადგეს უხვი შემოდგომა.

ლენინ, ლენინ საყვარელო,
შენს მშობლიურ სახელს ვფიცავთ,
შევასრულებთ უკვდავ ანდერძს,
პიონერულ ფიცს დავიცავთ!

ჩვენ ლენინმა გვიანდერძა
სიხარულით სავსე გული,
რომ ჩვენც ყველა ქვეყნის ბავშვებს
გმეგობრობდეთ სიყვარულით.

ლენინ, ლენინ საყვარელო,
შენს ბრწყინვალე დროშას ვფიცავთ,
შევასრულებთ უკვდავ ანდერძს,
და ჩვენს მტკიცე ფიცს დავიცავთ!

ალიო მიჩსხულავე



ნ. ბრიზორიანი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ემელიანოვი მუდამ ექსკურსანტებს დაატარებდა, დაღლა რა იყო, არ იცოდა. ესაა, რომ საკვირველი ექსკურსიამძღოლი გახლდათ: ხალხი საკუთარ ეზოში დაჰყავდა ხოლმე.

ვის არ ნახავდით იქ! ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსულ საბჭოთა ადამიანებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულ უცხოელ ტურისტებს...

ამ პატარა ეზოში ხალხის მისვლა-მოსვლა მხოლოდ სადამოს მიწყდებოდა, ისიც მაშინ, როცა ნადეჟდა კონდრატეს ასული სახლში სინათლეს აანთებდა, ჭურჭელს ერთ რახარუსს აუტეხდა და მეუღლეს ვახშმად დაუძახებდა.

მერე კი მთელი ოჯახი ბაღში გავიდოდა და სკამზე ჩამოჯდებოდა.

ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, თითქოს პაერიც კი გალურსულიყო...

ემელიანოვი ისვენებდა და ნება-უნებურად უკვე საყოველთაოდ ცნობილი რევოლუციური ამბების ახალ-ახალი წვრილმანები აგონდებოდა, ის ფასდაუდებელი წვრილმანები, რომლის წყალობითაც გარდასულ დროს უფრო სავსედ, ღრმად ჩასწვდება და წარმოიდგენს ადამიანი! მართალი გითხრათ, სწორედ ეს იყო მიზეზი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს სკამზე რომ მივუჯდებოდი ხოლმე.

ვინაიდან დროებით მთავრობას ლენინის დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, 1917 წლის ივლისის დღეებში ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ემელიანოვს სთხოვა, ლენინი გადაეშალა. ასეთ ნდობას კი ტყუილად არავის გამოუცხადებენ. მართალია, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მუშაკაცი იყო, მაგრამ ვანა ცოტა საიმედო მუშა ჰყავდათ სესტრორეცის იარაღის ქარხანაში? მაშ რაღა ის აირჩიეს? ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ახლაც კი გაოცებით აქნევდა თავს: ბედი მეწვია და ეს არის, რომ ილიჩს მოვმსახურებოდიო! მაგრამ არა, შემთხვევით როდი ანდეს ბელადის სიცოცხლე ემელიანოვს: ის პარტიის ძველი წევრი იყო და მას იცნობდნენ, როგორც გამოცდილ არალეგალურ მუშაკს.

მდგომარეობა დღითიდღე მწვავედებოდა. პეტროგრადში საყოველთაო დაპატიმრებები და ჩხრეკა მიმდინარეობდა. ბოლშევიკებს იჭერდნენ. ქალაქის სადგურებში და გასასვლელებში მგზავრებს ოფიცერთა პატრულები აჩერებდნენ. ცალ ხელში ლენინის სურათი ეკავათ, მეორეში რევოლვერი. ვინც ლენინს დაიჭერდა, ჯილდოდ დიდი ფული ერგებოდა.

ემელიანოვი ქალაქგარეთ დაბა რაზლივში ცხოვრობ-

მუსხა

და. იგი 9 ივლისს ღამით ჩამოვიდა პეტროგრადში, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ქალაქიდან გაეყვანა.

ქუჩები ცარიელი იყო, ისმოდა კაზაკთა ცხენების თქართქური. მგზავრებს უხეშად უყვიროდნენ და გაქცეულეებს ცხენიდან ესროდნენ...

ლენინი სწრაფი ნაბიჯით მიჰყვებოდა ემელიანოვს,

რომელიც წინ მიდიოდა და გზას უჩვენებდა. როგორც კი კაზაკების ცხენოსანი პატრული გამოჩნდებოდა, შყის შეჩერდებოდნენ და იმალებოდნენ. უკან კიდევ ორი კაცი მოჰყვებოდათ დასაცავად; ისინი ჩამორჩნენ, როცა ემელიანოვმა ვლადიმერ ილიას ძე ზღვისპირის რკინიგზის ლიანდაგზე გამოიყვანა. სასწრაფოდ გაძვრნენ სატვირთო ვაგონების ქვეშ და სააგარაკო მატარებელს მალულად მიადგნენ. ეს, ღამის უკანასკნელი მატარებელი იყო, — თითქმის ცარიელი მიდიოდა და ეგრე იოლად აქ ვერავინ შეამჩნევდათ.

მაგრამ ემელიანოვის კონსპირატული გეგმა მოულოდნელად ჩაიფუშა. პეტროგრადის შემდეგ პირველსავე გაჩერებაზე ვაგონში ერთი ღრიანცელით შემოიჭრა რამდენიმე ოფიცერი. რასაკვირველია, ისინიც იმ ფულად ჯილდოზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ლენინის დასაჭერად იყო გამოცხადებული. «ერთი ჩაგვივარდეს ეგ გერმანიის ჯაშუსი! — ყვიროდნენ ისინი. — ადგილზე გავაცხებინებთ სულს!..»

ლენინი და ემელიანოვი ტამბურაზე იდგნენ. ვლადიმერ ილიას ძე ვაგონის კიბეზე გადაძვრა, რათა არავის შეემჩნია.

ემელიანოვმა ვერ მოასწრო მოფარებოდა, რომ ერთმა ოფიცერმა თავი გამოჰყო, აბა ვინ იმალება კიბის საფეხურზეო. ემელიანოვი დაიბნა, ჯიბეში რევოლვერს ჩააფრინდა, მაგრამ, საბედნიეროდ, თავი შეიკავა: «რომ ვისროლო — ყველაფერს დავდუბავ; ოფიცრები ვლადიმერ ილიას ძეს მოკლავენ, ან არა და, თუ გადახტა, სულ ერთია, მაინც დაიმტკრევო». ემელიანოვმა რევოლვერს უშვა ხელი და პირფრული ღიმილით შეეხვეწა ოფიცერს: «თქვენო კეთილშობილებავ, ბატონო ოფიცერო! ეს ჩემი მეზობელია, ხელოსანი გახლავთ, ცოტა ზედმეტი გადაჰკრა, ვის არ მოსვლია. ნუ დაუშლით, შუბლი გაიგრილოს. აი, ჩემი საბუთები — ინებეთ და ნახეთ». ოფიცერმა ზანტად ჩაიქნია ხელი და თავის ძმაცაცებს დაუბრუნდა...

სტუმარს ემელიანოვის მეუღლე — ნადეჟდა კონდრატეს ასული გამოეგება. ივლისის ნათელი ღამე იყო და სინათლე არ აღნთიათ. ამ უდროოდროს სინათლის ანთება მეზობლების ყურადღებას მიიქცევდა და, კიდევ კარგი, რომ არ დასჭირდათ.



ნახ. გ. თოთიბაძისა



ლენინი ფხიზლად ათვლიერებდა უცხო ოჯახს.

— განაქარ გეშინიათ ჩემი სტუმრობის? — ჰკითხა მან ნადეჟდა კონდრატეს ასულს.

— საშიში არაფერია, — მიუგო ქალმა. — თანაც არც ისე მშიშარა გახლავართ, საზღვარზე დინამიტი გადამიტანია... ერთი საგონებელი კი გვაქვს: რაც შეიძლება უფრო საიმედოდ დაგმალეთ.

— თქვენი გოგო-ბიჭები სად არიან?

— სძინავთ, დიდი ხანია შვიდივემ დაიძინა.

— შვიდიო... ჰმ... ჩინებულია, რომ ამდენი შვილები გყავთ! მაგრამ...

ნადეჟდა კონდრატეს ასულმა სიამაყით თქვა:

— მათი ნუ შეგეშინდებათ. ჩემი ბელურები ზედმეტს არ იჭიკჭიკებენ.

მართლაც ასე იყო: ემელიანოვებს დიახაც შეეძლოთ ეამაყნათ შვილებით. ამ ეზოს ბავშვები, სულ პატარა, ერთი ციცქნა გოშას ჩათვლით, ჩვეულებრივ ცელქები და თვალჭყეტია იყვნენ, მაგრამ კარგად იცოდნენ, თამაში რა დროს უნდოდა და მამის საიდუმლოების შენახვა რა დროს...

თუნდაც ნაძვის ხის ამბავი ავიღოთ: ხომ დიდი სიხარულია ბავშვებისათვის დეკემბრის სუსხში ნაძვის ხის მორთვა ოქროსფერი ვარსკვლავებით, ზედ ნაირფერი სანთლების ანთება და მერე ირგვლივ ფერხულის დავლა?... ჰოდა, ემელიანოვების ეზოში, ჭიშკრის წინ ნაძვი იდგა (ახლა ის ვეებერთელა ხეა), და აი, ერთხელ, ბავშვების აცახცახებულმა პატარა ხელებმა ნაძვის ხე ზამთარში კი არა, ზაფხულში მორთეს. თბილი დარი იდგა და შვიდივე ბავშვს ფარდულში ეძინა. უცბად, სახლიდან ხმამაღალი ლაპარაკი და წაქცეული ავეჯის რახარუხი მოესმათ. «ჟანდარმებია... ჩხრეკენ!»

ბავშვები მყისვე მიხვდნენ, ჟანდარმები სახლის ჩხრეკას რომ მოათავებდნენ, ბოსტანში გადათხრიდნენ ყველაფერს. იქ კი, კარტოფილის ბუჩქებში, მამას ქარხნიდან ჩუმად მოტანილი თოფები და რევოლვერები ჰქონდა დამალული...

ჟანდარმების თავდასხმა უშედეგოდ დამთავრდა. ეზოდან გასვლისას მათ ნაძვის ხეს ჩაუარეს და ზედაც არ შეხედეს. ნაძვის დაბურულ ტოტებზე კი ბავშვებმა ის-ის იყო, იარაღის დაკიდება მოათავეს.

ან თუნდაც ტომრის ამბავი გავიხსენოთ: დაბის მცხოვრებთ ნება ჰქონდათ გარშემო ტყეებში ფიჩხი შეეგროვებიათ. ემელიანოვებს ნავი ტბაზე ედგათ და ბიჭები სიამონებით იყენებდნენ მას, მით უმეტეს, რომ დატვირთული ნავით პირდაპირ თავიანთ სახლის ღობეს მიადგებოდნენ ხოლმე. ნავმისადგომი საჭირო აღარ იყო. მაგრამ დრო და დრო ფიჩხზე თვითონ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მიდიოდა, თან ტომარა მიჰქონდა. ბიჭებს კი ერთხელაც რაა, ერთხელაც არ დასცდენიათ, რომ მამის «ფიჩხს» ლითონივით ჟღერალი გაჰქონდა და იქიდან რევოლვერის ლულეები გამოჩხერილიყო.

ვლადიმერ ილიას ძე მალე დაუახლოვდა ბიჭებს განსაკუთრებით კი გოშას. ამ ციცქნა ბიჭმა შეიძლება იტყვას, რომ მისი ნდობა თამამად შეიძლებოდა.

პირველსავე დღეს დილიდანვე ჩაუჯდა ვლადიმერ ილიას ძე თავის სამუშაოს. მას ფარდულის სხვენზე მოუწყვეს ბინა. გოშა სახლთან ახლოს, ქუჩაში თამაშობდა. უეცრად დედასთან მიირბინა. თურმე ვილაც უცნობი კაცი აეტორღილა პატარას, გინდა თუ არა, ერთად ვითამაშოთო. ეს ამბავი მყისვე ლენინს აცნობეს. ვლადიმერ ილიას ძემ სხვენის ჭურჭულანაში გაიხედა. ჭიშკრის წინ ტანმომცრო, შავთმიანი კაცი იჯდა, პენსზე ეკეთა და პატარა წვერი ჰქონდა.

— ოჰო! ეს ხომ იაკობ მიხეილის ძეა! — გაეხარდა ლენინს.

სვერდლოვი ცენტრალურ კომიტეტს გამოეგზავნა იმის შესამოწმებლად, საიმედოდ თუა ლენინი დამალულიო.

— ვლადიმერ ილიას ძე, ჩინებული ყარაული გყოლიათ! — უთხრა მან სიცლით გოშაზე.

მაძებრები არა ერთხელ გადაჰკიდებიან ემელიანოვის ბიჭებს. წინათ ემელიანოვს მეფის ჟანდარმები უთვალთვალებდნენ; ახლა ისინი დროებითი მთავრობის აგენტებმა შესცვალეს.

გოშა ყველაზე უფრო ჯობზე წამოცმულმა, წითელყვითელბილიოიანმა ყანდის მამალმა მოხიბლა, — თითქოს ეუბნებოდა, ნახე, რა ტკბილი ვარო!

— აბა, გოშა, აბა? — და აგენტი მოხიბლულ ბავშვს ცხვირწინ უტრიალებდა მამალს. — ხომ მოირბენ და მეტყვი, მამას თუ უცხო ვინმე ესტუმრება? ჰა, გამომართვი, ვიცი არ მომატყუებ!

ბავშვების მოსყიდვის იმედი რომ დაჰკარგეს, აგენტებმა ახლა დაშინება დააპირეს. მაგრამ ბიჭებმა ისეთი ღრიალი ატეხეს, რომ ჭიშკრებიდან აღშფოთებული ქალები გამოცვივდნენ.

— ჰაი, თქვე მტარვალეო! ბავშვებსაც რომ აღარ ინდობთ!..

ბიჭებმა კი დრო იხელთეს და ხითხითთ გაიქცნენ შინისაკენ.

ბოლო ხანებში მაძებრებმა ემელიანოვების კარმიდამოს ირგვლივ წანწალი გაახშირეს. ცენტრალური კომიტეტის დასტურით ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ გადაწყვიტა, ლენინისათვის უფრო საიმედო თავშესაფარი მოეზადებინა.

თიბვის დრო მოახლოვდა. ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა, ლენინი ტბის გაღმა ჭაობიანში დაეხიანებებინათ. უდაბური ადგილი იყო, თუ ნავით არა, ისე ვერაფრით მიუდგებოდნენ, ვერც ეჭვს აიღებდნენ: ემელიანოვებმა სათიბად დღიური მუშა დაიქირავეს და მორჩა! ასეთი მედლეურები კი იმ მიდამოში ბევრნი მუშაობდნენ. ერთხელ, როცა ლენინი ფარდულში ცხოვრობდა, ემელიანოვების კარმიდამოში ასეთი შემთხვევა მოხდა: ბავშვები ტყიდან სავსე კალათებით ბრუნდებოდნენ და მშობლებს დიდად ახარებდნენ, მაგრამ ერთხელ ნიკოლოზ ალექსან-



აპრილი

დრეს ძეს როდი გაეხარდა კვლავინდებურად შვილების დაბრუნება. პირიქით, ძალიან გაუჭავრდა კიდევ მათ. ბავშვები დამნაშავესავით თავჩაღუნულები იდგნენ.

ვლადიმერ ილიას ძეს გულმა არ მოუთმინა და სხვენიდან ჩამოვიდა.

— აი, შეხედეთ, რა უქნიათ თქვენს მეგობრებს, — მიუბრუნდა მას ემელიანოვი. ემელიანოვს ხელში საცოდავი წყნელი ეჭირა, რომელსაც ფოთლები უკვე დასტკნობოდა და ძაფებივით წვრილი ფესვები უჩანდა.

— ეგ მუხაა, — გამოაცხადა გოშამ. — ვეღარ იხარებს. გოშა ტყეში არ წაეყვანათ, რადგან პატარა იყო, და ახლა, როცა მამა ძმებს კიცხავდა. დინჯად უკრავდა მას კვერს.

ვლადიმერ ილიას ძემ ფრთხილად შეახო წყნელს ხელი და მზრუნველობით დაათვალიერა.

— იქნებ მაინც ჩავრგოთ, პა? ემელიანოვმა ხელი ჩაიქნია:

— არაფერი გამოვა, ვლადიმერ ილიას ძევ, ვეღარ იხარებს, ივლისის თვეა.

ლენინმა გამომწვევად გაიღიმა:

— მაინც ჩავრგოთ, — და წყნელი ბაღში წაიღო. — აბა, გოშა, ბარი მოიტანე.

მათ ერთად ჩარგეს პატარა მუხა.

— ახლა, გოშა, მცენარეს მოვლა უნდა. ხშირად წყლის დასხმა სჭირდება. პირობას მაძლევ?

გოშაც დაპირდა ვლადიმერ ილიას ძეს.

ემელიანოვების კარმიდამო ამჟამად მუზეუმად იქცა. მუხაც იზრდება. ტოტები ჯერ არ შეკვრია და აქეთ-იქით გაჩაჩხვია, რადგან ორმოცი წლის მუხა ისევ ყმაწვილად ითვლება! მაგრამ ტანი კი დასრულებია, სიგანეში ათი — თორმეტი სანტიმეტრი იქნება.

პოდა, იზრდება ლენინის დარგული მუხა, დარგული იმ წელს, როცა დაარსდა მსოფლიოში სოციალისტური სახელმწიფო, როცა კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო...

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას მოგონებებიდან ჩვენ ვიცით, როგორ უყვარდა ლენინს ბუნება. საზღვარგარეთ განდევნილს ხშირად ენატრებოდა ვოლგის მშობლიური. მინდვრები და როგორ ხარობდა, როცა ქალაქგარეთ სეირნობისას ისეთ კუთხეს აღმოაჩენდა, რაც სამშობლოს მოაგონებდა... მოსკოვის ახლოს, გორკაში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ვლადიმერ ილიას ძემ, დიდი ბაღია. აი იქ, ნეკერჩხლის, ცაცხვებისა და რუსული არყის ხეების ძირას, დიდხანს სეირნობდა ხოლმე ვლადიმერ ილიას ძე და დიდ სიხარულსაც გრძნობდა. აქ ისვენებდა იგი.

ნორჩო ლენინელებო! მოსწავლეებისა და პიონერების ჩვენო დიდებულო არმიაე! დარგეთ ხეები, გააშენეთ ტყეები! გვერდს ნუ ჩაუვლით იმ მცენარეს, რომელიც შველას ითხოვს. მცენარეებს ენა არა აქვთ, მათი თხოვნა უტყვია, მაგრამ, პიონერებო, თუ ბუნება გიყვართ, გაიგონებთ მის ვედრებას, როგორც ლენინმა გაიგონა პატარა, განწირული მუხის ვედრება.

თარგმნა რ. ქებულაძემ

გადიკარებდა ცა ღრუბლით საცხე, განათდებოდა ზეცის ნაპირი და ყვავილების გვირგვინით თავზე შემოდოდა ქვეყნად აპრილი.

აფეთქებდა ხეებზე კვირტებს, ყვავილთა სუნთქვას მოჰფენდა ირგვლივ... ეს იყო მხოლოდ. ეს იყო, ვიდრე არ დაიბადა აპრილში იგი.

მან ხალხებს მისცა აპრილის სითბო, მან გაზაფხული აჩუქა ხალხებს... უცებ სხვა ვანდა აპრილიც თითქოს და მისთვის ახალს ვეძებდით სახელს.

ყველანი შევტრფით მის მოსვლას ახლა, ვიჩქარით უმალ, რომ ვცეთ თაყვანი, მას დიადი თვე უწოდა ხალხმა, მან დაურწია ლენინს აკვანი!

ალექს მანუალია

ვლადიმერ ენის

გაზაფხულია...
ყვავილდა ტურფა მთა-ბარი,
მალე მაისი გააჩაღებს
დროშების კოცონს, —
ამ გაზაფხულში,
ამ დროშებში,
მარად მართალი,
ხალხთა ბელადი,
საყვარელი
ლენინი ცოცხლობს!
სამშობლო ჩვენი უძლეველი,
დღეს სულ წინ მიდის,
ყველგან დიადი კომუნიზმის
შუქი ანთია,
ჩვენ არასოდეს დავიჯერებთ
ლენინის სიკვდილს,
სანამ სიცოცხლე,
სიხარული მოაქვს განთიადს!

ლილარ ივარდავა



ნახ. რ. ცუცქერიძის
ლანცის ოქტომბრის
პორტრეტი

საქართველოს უბიჭრობა

პ. რ. ცუცქერიძის
პორტრეტი

ღიდი ლენინის სიტყვები ურანულ მალეღი სერისაო, სინათლის ნახეს შორადა, გამაყვავია გზისაო.

მის სიტყვებ აღარ მოყვდება, ფოლადის ციხის კარია. არ დავიფიქრებთ არიფეს, მანამდე მზე და მთავარია.

მანამდე შევავის სამყარო, ქვეყნად მუშების ძალია. რაც რომ სინათლად ვიპოვე, სულ მაგის ნაუზარია.

მზის ჩასვლის პორტრეტი
ს. ცუცქერიძის

ყურ უღვით, მანო, ყურ უღვით შოით მისულსა მაყნესა: — მოიდა ტიად სიყდილი შეურთ ვარკვლავი ჩაქრეს.

მოვკვივდა ჩვენი იმედი, ცრემლი ჩათ არ მოვიდოთ თვალსა? — ცრემლი რა ვაკეციოს წესთა, ის დაულოცეთ ქალბნას.

ჩვენ დავტრეს გულს ტრილობა, ცრემლზე არ ვაკეცილებსა, ვაკეციოს დარდი ყოფილა. — შიღრთულვა მალად მივებისა.

მზის ჩასვლის უკავს სიყდილი იმ ჩვენს ბელასა ლენინისა, ან ქვეყნად ცუცხლის მამტანასა, განაითებულსა ბნელისა.

წიადია, აღარ ბრუნდება! მავრამ კოხთულობს შევიღებსა, პატრონი კარგი დატვია არაფერს ვაკეციორვებსა.

მანათობელი ვარკვლავი, ამხეთა მომწერე ამისა, ცტუოდა დიდსა ლენინისა: — შენი ქვეყანა შევავისა!

ცუცქერიძის

პ. რ. ცუცქერიძის
პორტრეტი

პატივი განდა ღრუბელი მუცქარა, გეუზარია. მთავის ტახტს მუხი დაარტყა, სულ ერთმანეთს არივა, ადგა, იფიქრა ნიკოლამ, ჩემთვის არ არი დარია, გრემელი მინელი ჩაკო, ევა ნახა ვასპარია.

ბევრი ვერ წამოიზრდება ლენინისთანა მძღვარია. გულზე აყარა ბოწისა, წერებო შეგება ხმალია.

მზის ჩასვლის პორტრეტი
ს. ცუცქერიძის

მულს ჩაიწვრეს ეს სიტყვა შეილო, გაზრდილი დადისა, უცვადვი ლენინი არის გამხსნელი ხალხის ბედისა, დაუდალავად მუხრძილი მტრის წინა, სისხლის მტყეფისა. მან გაიმარჯვა ხელოვნებ — დაღწევა ძველი ძაღლის და ამოწვევტა მოღიანად ნიკოლასის ვარები.

ვისთონიონ, არ დავიფიქრებთ ვის გმირულად თვალსა. მის დავიწერეს, დავტანეთ, არ არის შესაბაარელი.

მზის ჩასვლის პორტრეტი
ს. ცუცქერიძის

რუსეთით მაყნე მოვიდა, ლენინი ვარკვლავითა, თავში დაგვიტა ბურჯავი, ცუცხმდე ვაიარათა.

ღვინა დაბერა ნიკამს, ფურცელი ჩამოხრია, — ტრეში დაიბარათა, — მიაში ვაკეცს ფრინველთა, — ვალომა ვარკვლავთა, — ლენინი მოვადრია? არ მუჯარა, არა, არაო.

ციურისხში

მამე პაპის ქათ

გონი ტინი კიში (1885—1948 წ. წ.) ვარკვლავთა მძღვარელი მწიგნობარი, იგი საბჭოთა კავშირის წმინდანად გამოცხადდა. მისი ახალგაზრდა ჩვენი ბავშვების მოღვწეობა, გონი ტინი იყო დაწერილი აქვს მოკრებები ლენინზე, ცხატავი ერთ-ერთი მოღვწე, რომელიც დიდი ბუღდოს ციურისში ცხოვრობს პერიოდს ტებუა.

ციურისი. ძველსხველი, ვიწრო და პატარა, ვერც წოდებულა შვიადის ქუჩა. აი, აქ ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ერთ მეწველსა.

მეწველ კამერტი, ვისთანაც ლენინი ხალხობდა, ძალიან ღარიბი იყო: მე იგი თავის სახელისწიშო ვაკეციონ, როდესაც ფესხაცელები მოვტანე შეხატებულად. იქვე დაგვლოდა, ვლადიმერ ფესხაცელებს შეაკეციებდა და თან საუზარი ვაკეციო. მოვკვივებ მისის და ბარის ამბავს. მან თავისი მღვწეობის შესახებ მოამბო:

—ღობ, იგი წელიწადნახევარს ცხოვრობდა ჩვენიან, ამ სახელისწიშის ვკერდით მდებარე თოხბზე ნომერ სახლში, მერცე საროულზე, 1911 წლის რვა აპრილს ბატონმა ულიანოვმა შეხატებინა, რომ სახარულად უნდა ვაკეცივარყო. ვიპოვე, თქვენ რომ ბინის ქირა პირველ მთისმდე ვაკეცივადილო და ასე მალე და მიღისა-მეოტი. მოხრისა რუსეთში ვადღუდებულა საქმე მაქვსო. მე თავი ვაკეცივებ—ისეთი ცტა ფულის ბატონი, როგორც ბატონი ულიანოვსა, ნახევარი თვისაზე მეტ ვაკეცივადი ქირას რაგომ უნდა ვაკეცივადი-მეოტი.—განსა საქვრდებო არ ამბო!


ახლა მოვახსენებთ, თუ როგორი მღვწეობი იყო ულიანოვი. მე მისი ძალიან კმაყოფილი ვიყავი, უარცხად წყნარი და მშვიდი ადამიანი იყო. ქალბატონი ულიანოვა ბოროდ თვითონ ხანაშად ხალხობს. ბატონი ულიანოვი კი მოელ ღღეს მაგიდადინა იღდა, კოხთულობდა წიგნებსა და ვარკვლებს და გვიან დაემუდგ წერდა. და, იგიო, რა უამრავ წიგნებსა და ვარკვლებს დაწვინებდა! აი, ეს უსთხე კოხთულობს სახეს იყო. ბატონ ულიანოვს წერილები თვითონ მოამწებდა, რომ ფოსტალობის მზიარად არ დასპირებოდა კიხეზე ახლდა. ზოგჯერ ხარისა „ლენინი“ ეწერა. მე ქალბატონ ულიანოვას ვაკეციო, — რას ნიშნავს ნიშნობა, და მან ამხიხნა: ჩვენ რუსი ემიგრანტები ვართ და ეს ფესხაცელები-მეოტი.—ყოფილო, იც არ მესება-მეოტი.

გამომწვევებისას ბედნიერება ვუხსრტე და ვთვობარა: იმედა, ბატონი ულიანოვ, რუსეთში ასე ბედის ხანუშობა აღარ გვეწებოთ, როგორც აქ გვიღობა-მეოტი. მიამხსნა: მე კი მგონია, ბატონი კამერტი, პეტერბურგში უფრო მეტი მოუშობსა მომწველსა.

ახინა გუას ვადღუნენ...

ბატონი კამერტიარა ფანჯარა დამანახა,—აი, ეს იყო ულიანოვის ოთახი. შუდვეთ ის ოთახიც დასა. ძალზე დაბლაქვიანი იყო, ოთახში მეტარი ხეგრისა და ხანა მეტარი ხეგრისა. მარჯვენა კარებთან, ღრუბულად იღდა და მძიდი მოელ ოთახს ვასადედა. ამ დაზუთოდ ოთახში, ვიწრო ქუჩის დადინად შეუქვე იგდა ემიგრანტთა. იგი მოუშობდა და წუშობდა, სათა წვედიადისა და ვაკეცივადისა ვაკეცივადისა მოელ კაციობინა.

თარგმანი შ. პაპიანაშვილისა



ერთ შეკრებაზე



რება ხომ წინ უსწრებს საკავშირო დათვალადიერებას. მელიც დიდი ლენინის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა. ამიტომაც, რომ ყველა პიონერი ცდილობს, მზად შეხედეს ამ დიად თარიღს, თავისი საქმიანობით ასახელოს რაზმეული.

მართლაც, ბევრი საინტერესო საკითხი წამოაყენეს პიონერებმა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ დებულებაში გათვალისწინებული პირობების შესრულებას.

მსჯელობდა მესამე რაზმის საბჭო, თუ როგორ შეხვედროდნენ დიდი ბელადის დაბადების დღეს. მათთან ერთად იყვნენ: კლასის დამრიგებელი ვენერა კიკვიძე, რაზმის ხელმძღვანელი ნათელა რუბანოვა, უფროსი პიონერხელმძღვანელები ვენერა ჭოხონელიძე და დეზდემონა ხარჩილაძე.

გადაწყდა, რაზმის მომავალ შეკრებას ასე ეწოდოს: «ვიქნებით მტკიცე ლენინელები!» საბჭომ შეადგინა შეკრების გეგმა და დავალებებიც განაწილდა.

პიონერებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, დაემსახურებინათ «შვიდწლედის თანამგზავრი რაზმის» სახელი.

მიდიოდნენ დღეები. მე-3 რაზმში დღითიდღე მატულობდა საქმიანი ფუს-ფუსი. აი, თუნდაც მეორეკოლელები: ისინი გულდასმით ჩაჰკირკიტებდნენ მაგიდაზე გაშლილ რუკას. რგოლის ხელმძღვანელი მედეა ბუთხუზი თავის თანარგოლელებთან ერთად ძალას არ იშურებდა, რომ რაზმის საბჭოს დავალება პირნათლად შეესრულებიათ. ეს დავალება კი მეტად საინტერესო იყო: რგოლს უნდა შეედგინა საგანგებო რუკა, სადაც აღნიშნული იქნებოდა ის ადგილები, სადაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა დიდი ლენინი.

«ფერები კარგად უნდა შევარჩიოთ, გემოვნებით შევუხამოთ ერთმანეთს, ეს რუკა შემდეგ ჩვენს პიონერთა ოთახს დაამშვენებს»—ასე ფიქრობდნენ მეორეკოლელები.

ნელი მამადაშვილსა და რამდენიმე მის მეგობარს ფოტოაპარატები მოემარჯვებინათ და ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ რაზმის ცხოვრებას, არ სტოვებდნენ რაზმის მზადების არც ერთ მომენტს, რომ ფოტოფირზე არ აღებეჭდათ—მათ ხომ რაზმის ალბომის შედგენა ჰქონდათ დავალებული.

პიონერები გულმოდგინედ სწავლობდნენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის—ლენინის ცხოვრებას, რომელიც სამაგალითოა ყველა ადამიანისათვის. რაზმმა გადაწყვიტა დამეგობრებოდნენ ლენინის მშობლიური ქალაქის

რაზმეულის საბჭოს შეკრება დიდხანია დამთავრდა, მაგრამ ბავშვების ხმა კიდევ კარგა ხანს მოისმოდა თბილისის მე-3 სკოლის პიონერთა ოთახიდან.

მართალია; შეკრებაზე გულდასმით წაიკითხეს პიონერული რაზმეულების რესპუბლიკური დათვალადიერების დებულება, მაგრამ სეტყვასავით წამოვიდა შეკითხვები და უფროსი პიონერხელმძღვანელი ცდილობდა ყველა შეკითხვაზე გასაგები პასუხი გაეცა, ყველას ცნობისმოყვარეობა დაექმაცოფილებინა.

პიონერული რაზმეულების რესპუბლიკური დათვალადი-



ულიანოვსკის ბიონერებს, რაც კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს შეკრების კარგად მომზადებას. სიტყვა საქმედ იქცა და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ბიონერთა ოთახი ბავშვებით აივსო. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სულგანაბული უსმენდა რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს სუხაშვილს, რომელიც ულიანოვსკიდან მიღებულ წერილს კითხულობდა. სწორედ ეს მომენტი აღბეჭდეს ჯიმშერ ჩიტაიამ და კუკური სამხარაძემ ფოტოფირზე. «ბარათი ულიანოვსკიდან», — ასე ეწოდა ამ ფოტოეტიუდს, რომელმაც შემდეგ სტენდიც დაამშვენა.

ულიანოვსკელი ბიონერები უყვებოდნენ ახალ მეგობრებს ლენინური ადგილების შესახებ, მოუთხოვრებდნენ ეპიზოდებს დიდი ილიჩის ცხოვრებიდან.

მეგობრებს ყველაზე მეტად ლენინის რაიონის გაცნობა იტაცებდათ. ბიონერები ეცნობოდნენ მშობლიურ რაიონს, მის რევოლუციურ წარსულს, აწმყოსა და ბედნიერი მომავლის გეგმებს; მათ ინახულეს მოწინავე საწარმოები, გაეცნენ შვიდწლედის გმირ ადამიანებს. აქვე, დაზვების გუგუნში ესმოდათ მათ მშრომელი ადამიანების მართალი სიტყვა. მესამერაზმელები აღტაცებით შესცქეროდნენ შვიდწლედის მშენებელთა მარჯვენას და კიდევ ერთხელ გაიმეორეს: «ვიქნებით მტკიცე ლენინელები, გამოვადგებით ჩვენს დიად სამშობლოს. ვისწავლით ლენინისებურად, შევასრულებთ ლენინის ანდერძს!» — ასეთი პირობა დადეს თბილისის მე-3 სკოლის მესამერაზმელებმა და ამ პირობის შესრულება განა შეიძლებოდა ლენინური მეგობრობის გარეშე? ამისათვის კიდევ უფრო განმტკიცდა მეგობრობა ულიანოვსკელებთან, უფრო საინტერესო, ხალისიანი გახდა რაზმის ცხოვრება...

უნდა ითქვას, რომ მესამერაზმელებმა ღირსეულად დაიმსახურეს «შვიდწლედის თანამგზავრი რაზმის» სახელი.

მრავალი წიგნი გადაიფურცლა, მრავალი სტრიქონი ამოიწერეს მესამერაზმელებმა, რომ კიდევ უკეთესად შეესწავლათ ილიჩის ცხოვრება, რომ საინტერესოდ ჩაეტარებინათ მომავალი შეკრება.

ლექსებს იზებირებდნენ დეკლამატორები, სიმღერების შესწავლაში ეჯიბ-

რებოდნენ ერთმანეთს ნორჩი მომღერლები, ახალ ცეკვებს ეუფლებოდნენ მოცეკვავეები. ყველას უნდოდა პირნათლად მისულიყო დანიშნულ დღეს დედაქალაქის ცენტრში, მოედანზე, სადაც ლენინის ძეგლია აღმართული.

...**ლენინის** ძალის ერთ-ერთი ნაი-
დუმლოებაა მისი არაჩვეულებრივი გულწრფელობა. იგი გულწრფელაა თავის მეგობრებთან. მას, რა თქმა უნდა, ყოველთვის უხარია, როცა მისი პარტიის რიგები ივსება, მაგრამ იგი არახოდეხ არ იზიდავს თავის მხარეზე იმით, რომ ვარდისფერი საღებავებით დაუხატოს მუშაობის პირობები ან მომავლის პერსპექტივები. პირიქით, იგი ყველაფერს იმაზე უფრო შუქი ფერებით ხატავს, ვიდრე სინამდვილეშია...
ალბერტ რის ვილიამსი
ამერიკელი ჟურნალისტი

აქ უნდა მოსულიყვნენ ბიონერები და ებატაკათ დიდი ბელადისათვის, რომ ისინი მტკიცე ლენინელები იქნებოდნენ. მანამდე კი წინ ბევრი საქმე იყო. მეგობრები ხშირი სტუმრები გახდნენ ლენინის მუზეუმის ფილიალისა, სადაც ექსკურსიამძღოლი ესაუბრებოდა ბიონერებს ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობაზე; აცნობდა ლენინს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელსა და ხელმძღვანელს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედსა და მშობლიური კომუნისტური პარტიის შემქმნელს.

მოდოდნენ ბიონერები ბიონერთა სასახლეში, ლენინის ოთახში; აქ ხომ ხშირად მოუსმენიათ საუბრები ლენინის ბავშვობისა და მოწაფეობის წლებზე, მის საყვარელ თამაშობებზე და თვითონაც უთამაშობათ. აქვე, სასახლის მშვენიერ პარკში. თითოეული ექპსონატი, რომელიც ამ ოთახშია გამოფენილი, მათთვის ნაცნობია და შესწავლილი. მაგრამ, კიდევ ერთხელ მოდიან, რომ უკეთ მოისმინონ უფრო კარგად შეისწავლონ.



ბელადის ძეგლთან შეკრებაზე ბევრი ოქტომბრელი ბიონერთა რიგებში მიიღეს.

კლინიკის შთაბეჭდილება, რომელიც მისგან მომდინარეობდა, ღრმად აღმოაჩინა მისი მეტყველების უშუალო ძალით. რის თქმაც უნდოდა, იმას ამბობდა პირდაპირ, ნათლად, არავითარ ბუნდოვან სიტყვას არ მიმართავდა. ლენინთან საუბარში შეუძლებელი იყო რაიმე გაუგებრობა, ვერაფერს ვერ წავიდოდა მისგან ყალბი შთაბეჭდილებით. იგი ამისათვის მეტად ნათელი, მეტად პირდაპირი იყო.

უილიამ ჰუდი

ინგლისელი პედაგოგი და
საზოგადო მოღვაწე

წესებში. და მესამე რაზმებზე გადაწყვიტეს, რომ სწორედ ლენინის დღეებში, მესამე რაზმის საზეიმო შეკრებაზე, ჩამდგარიყვნენ მათი პატარა მეგობრები პიონერთა რიგებში. ისინი ოქტომბრელებს ყოველნაირად ეხმარებოდნენ, ასწავლიდნენ პიონერის საზეიმო დაპირებას, კანონებს, პიონერული ორგანიზაციის ისტორიასა და გმირი პიონერების ცხოვრებას. პატარა მეგობრები მათი პიონერული საქმიანობის თანამოზიარე გახდნენ. პატარები სწავლობდნენ საზეიმო დაპირების ტექსტს და მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როცა მათ დიდი ლენინის ძეგლთან გაუკეთებდნენ პიონერულ ყელსახვევსა და სამკერდე ნიშანს...

ამ საკითხზე რაზმის კედლის გაზეთშიც კი წერდნენ პიონერები. გაზეთის ეს ნომერი კი სულითა და გულით გაამზადეს ბავშვებმა, სურდათ ყველაზე კარგი ყოფილიყო იგი და პიონერული კედლის გაზეთების სარაიონო დათვალერებაზეც სწორედ ის წარედგინათ; მოინდომეს და შეძლეს კიდევ — დათვალერებაზე გაზეთმა კარგი შეფასება მიიღო და ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რით დაიმსახურა მოწონება გაზეთმა? რაზე სწერდნენ პიონერები? გაზეთი მოგვითხრობს, რომ მეგობრობამ, მტკიცე კოლექტივის შექმნამ ხალისიანი და საინტერესო გახადა რაზმის ცხოვრება; რომ ექსკურსია ახლა თვითმიზანი კი აღარ არის, არამედ ცოდნის შეძენის ერთ-ერთი საინტერესო საშუალებაა; რომ ოქტომბრელებს ამიერიდან ზრუნვას არ მოაკლებენ; რომ ლენინის ცხოვრების შესწავლამ მათ ბევრი ახალი რამ შესძინა. ლენინის ანდერძი გახდა მათი ცხოვრების დევიზი: «სწავლა, სწავლა და სწავლა» არის მათი მთავარი მიზანი და ამოცანა.

ოქტომბრელებს «ილიჩის შვილიშვილებს» უწოდებენ, მათ სამკერდე ნიშანს — ხუთქიმიან წითელ ვარსკვლავს ბელადის ბავშვობის სახე ამშვენებს. «ოქტომბრელები მომავალი პიონერები არიან» — ასე სწერია ოქტომბრელებს.

დადგა აპრილის მშვენიერი დარბი. მოვიდა დანიშნული დღე. დილიდანვე მოუსვენრობა დაეტყობა ბავშვებს. ჟუკანასკნელი გაკვეთილის დამთავრების ზარმაც დაიწყრიალა და რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა ეზოში გამოეფინა. ზეიმობდნენ. მეგობრები — მათ ხომ ყველა პირობა შეასრულეს! ახლა ისინი-მიდინან დიდ მოედანზე, დედაქალაქის ცენტრში, რათა დიდი ბელადის ძეგლთან უპატაკონ სამშობლოს, აღმზრდელებს, სკოლას.

შეწყობილი ფეხის ხმას გულის ცემაც აჰყოლია. დღეს ბავშვები. ამ შეკრებაზე განა. მარტო საპატაკო სტუმრები იქნებიან, — მოედანი ხომ მუდამ ხალხითაა სავსე.

მოვიდნენ მეგობრები... იის თაიგულები ძეგლთან ფრთხილად დააწყვეს და ისევ მწყობრში ჩადგნენ.

— სმენა, სწორდი! — გაისმა რაზმის საბჭოს თავმჯდომარის ხმა.


ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. რგოლის ხელმძღვანელმა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ პატაკები ჩააბარეს და დაიწყო ხალისიანი შეკრება...

გამველ-გამოველნი ღიმილით უმზერდნენ ლენინის ძეგლთან თავმოყრილ წითელყელსახვევიანებს. ისინი მღეროდნენ, კითხულობდნენ ლექსებს დიდ ლენინზე, ტაშს აყოლებდნენ საცეკვაოდ გასულ მეგობრებს.

საპატაკო სტუმრები უამბობდნენ პატარა მასპინძლებს დუხჭირ წარსულზე, რომელიც ლენინის გენიამ დღევანდელი ნათელი დღით შეცვალა. უამბობდნენ დიდი ადამიანების ცხოვრებაზე, კომუნისტური საზოგადოებისა და კომუნისტური პარტიის მზრუნველობაზე, ჩვენს დიად სამშობლოზე, მის მიღწევებზე, უკეთეს მომავალზე. ისინი მოუწოდებდნენ, იყვნენ ლენინის ანდერძის ერთგულნი, გაიზარდონ მტკიცე ლენინელებად, იყვნენ მზად კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად.

«მზად ვართ!» — ხმაშეწყობილად პასუხობდნენ ბავშვები.

«მზად ვართ!» — იმეორებდნენ გუშინდელი პატარა ოქტომბრელები, რომელთაც ბედნიერ დღეს მიიღეს უფლება ატარონ პიონერის ყელსახვევი.



ც. შირვაშვილი

809

კაცობრიობის დიდ ბელადს
ლენინს ბავშვობისას ვალოდიას
ეძახდნენ. ვალოდია მეტად ცოც-
ხალი და ცელქი ბიჭუნა იყო. შემ-
დეგში მან შრომითა და სწავლით
შეიძინა ის უზარმაზარი ცოდნა,
რაც ხალხთა თავისუფლებისა და
ბედნიერებისათვის ბრძოლას მოახ-
მარა.

ზოგიერთმა აღბათ წაიკითხეთ
კიდევ, მაგრამ ვისაც არ წაუკით-
ხავს, მინდა ვუთხრა: უეჭველად
წაიკითხეთ ნიკოლოზ ვერეტენიკო-
ვის წიგნი „ვალოდია ულიანოვი“.
ნიკოლოზ ვერეტენიკოვი ლენინის
დეიდაშვილია, მათ ერთად გაატა-
რეს ბავშვობა სოფელ კოკუშკინო-
ში. ამ სოფელში ცხოვრობდა მათი
პაპა (დედის მხრიდან) ალექსანდ-
რე დიმიტრის ძე ბლანკი. ის ექიმი
იყო და გლეხებს მკურნალობდა.

ნ. ვერეტენიკოვის წიგნში დაინა-
ხავთ თუ როგორ იზრდებოდა, რო-
გორ დაუღალავად შრომობდა და
სწავლობდა ვალოდია ულიანოვი,
რომელსაც შემდეგმე ლენინს ეძახდა
მთელი მსოფლიო.

„ცხადად მიდგას თვალწინ მომც-
რო ტანის ჩაფხკვნილი ბიჭი,—წერს
ნ. ვერეტენიკოვი.—გამოზურცულ
შუბლზე ოდნავ ხვეული, საოცრად
რბილი, გადმოშლილი ქერა თმით.
მოციმციმე, თაფლისფერი თვალები
ხანდახან ეშმაკურად ეჭუტება. გა-
ბედული, ენერგიული, მკვირცხლი,
ზოგჯერ მეტად ცელქიც, თუმცა
მისი სიცელქე უნებობაში არასოდეს
გადასულა“.

ეს პატარა წიგნი შეიძლება ერთი
ამოსუნთქვით წაიკითხოთ, მაგრამ
ბევრს, ძალიან ბევრს ისწავლით,
ბავშვებო! ამ წიგნში ნახავთ, თუ
როგორ შეიძლება გამოაწროს თა-
ვისი თავი ადამიანმა, მიხვდებით,
რომ შეუძლებელი არაფერია ამ
ქვეყნად... „მე ხშირად ვწერდი წე-
რილებს ვალოდიას,—წერს ვერეტე-
ნიკოვი,—თუმცა ძალიან მრცხვენო-
და ჩემი ცუდი ხელისა. ვალოდია
მირჩევდა, თავს ძალა დაატანე და
ხელი გამოიხწორეო. ეჭვი არ მეპა-
რებოდა, რომ ჩემს ადგილზე ვალო-



დია სწორედ ახე მოიქცეოდა და
არავითარი სიძნელე არ შეაჩერებ-
და“.

პატარა ვალოდია ძალიან ბევრს
კითხულობდა. ჯერ კიდევ სიმბირ-
სკში თავის უფროს დას ანას დაჰყ-
ვებოდა ბიბლიოთეკაში. ვალოდიას

ნიგნი ბალაღის ბავშვობა

ძალიან უყვარდა მსჯელობა წაკით-
ხული წიგნის გარშემო. აი, რას იგო-
ნებს ვერეტენიკოვი:

- ეს წაიკითხე?
- არა.
- აბა ეს?
- არა.
- ბოლოს მეც მომბეზრდებოდა ამ-
დენი „არას“ ძახილი და „კი-მეთ-
ქი“ ვეტყვოდი.
- ტურგენევის „კვამლი“ წაი-
კითხე?
- წაიკითხე.
- მაგრამ ვალოდია მყისვე მიმიხვ-
დებოდა ტყუილს და ცბიერად შე-
მეკითხებოდა:
- მოთხრობა „ლიტვინოვი“ თუ
წაიკითხე?
- მე შემრცხვებოდა მეორეჯერ
ტყუილის თქმა და გამოვტყუდებო-
დი:

— არა, არ წაიკითხე...
— მაშ, სიცრუე გითქვამს „კვამ-
ლი“ წაიკითხეო! რომ წაგეკითხა,
გეცოდინებოდა კიდევ, რომ ლიტ-
ვინოვი რომან „კვამლის“ გმირია,
ტურგენევის მოთხრობა „ლიტვინო-
ვი“ სულაც არ დაუწერია“.

მაგრამ მიუხედავად ნაკითხობისა,
პატარა ვალოდიას თავი კი არ მოშ-
ქონდა, „აი მე რა ბევრი ვიციო“.
არც დაძმებსა და არც სხვა ბავშ-
ვებს ვალოდია არასოდეს წაჩხუბე-
ბია. ვისაც ვერ შეეგუებოდა, უსიტ-
ყვოდ ჩამოშორდებოდა. მას თავი
ძალიან უბრალოდ და ბუნებრივად
ეჭიარა და პირველობა არასოდეს
დაუჩემებია. ეს პირველობა თავის-
თავად ვლინდებოდა, ამიტომ არც
არავის სწყინდა და არც არავის
შურდა თურმე ვალოდიასი. იგი
მხოლოდ მისაბამ მაგალითს წარმო-
ადგენდა სხვებისათვის.

კიდევ რამდენი რამ ჩამოგიტვა-
ლოთ?—ლენინზე ხომ დაუსრულე-
ბლად შეიძლება წერა... ამ პატარა
წიგნშიც ძალიან ბევრ რამეს ნახავთ
თქვენთვის საინტერესოს. მაგრამ,
უწინარეს ყოვლისა, აღბათ ის მო-
გეწონებათ, რომ ჩვენი დიდი, საყვა-
რელი ბელადი ერთ დროს თქვენ-
სავით პატარა ბიჭუნა იყო, რომელ-
საც თამაშიც უყვარდა, ცელქობაც,
მაგრამ წიგნისათვის არასოდეს უღა-
ლატნია.

ნიკოლოზ ვერეტენიკოვის წიგნი
„ვალოდია ულიანოვი“ „ნაკადულ-
მა“ გამოსცა. იგი რუსულიდან რუ-
სულად ქებულაძემ თარგმნა.

ბ. გომიპაპილი

ლენინი იხე იქცეოდა, როგორც იქ-
ცევა თანასწორი თანასწორთა შორის,
რომლებთანაც იგი დაკავშირებულია
თავისი გულის ყველა ძაფით. მასში
„ძალაუფლების მქონე ადამიანის“ ნატა-
მალიც არ იგრძნობოდა, პარტიაში მისი
ავტორიტეტი იყო ავტორიტეტი უიდეა-
ლურესი ბელადისა და ამხანაგისა, რომ-
ლის უპირატელობის წინაშე ქედს ისრი-
იმის შეგნების გამო, რომ იგი ყოველთ-
ვის გაგიგებს და, თავის მხრივ, სურს,
რომ მას გაუგო.

კლარა ცეტინი

გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა
მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე




არჩილ ნათუნები



სიხარულით შეალო არჩილმა პიონერთა ოთახის კარები. როგორ უყვარს აქ მოსვლა, რამდენი საინტერესო და სახალისო ელის მას ყოველთვის ამ საზეიმოდ მორთულ ოთახში!.. მართალია, ჯერ კიდევ ოქტომბრელია, მაგრამ მისთვისაც მოიძებნება ხოლმე საქმე... დღესაც სახეგაბრწყინებულმა შეალო კარები. მიჩვეული იყო, რომ პიონერთა ოთახი ყოველთვის ბავშვებით სავსე ხვდებოდა, მაგრამ დღეს, რატომღაც, ჩვეულებრივზე მეტნი იყვნენ. აღისფერყელსახვევიანი გოგონებისა და ვაჟების ერთ ჯგუფს პალტოები ეცვა; ეტყობოდათ, სადღაც აპირებდნენ წასვლას და პიონერხელმძღვანელი უკანასკნელ რჩევა-დარიგებას აძლევდა.

არჩილი იქითკენ გაემართა, ყური დაუგდო თუ რას ამბობდა ხელმძღვანელი:



— აბა, თქვენ იცით, ბავშვებო, ეცადეთ ყველაფერი გულდასმით ჩაიწეროთ, არაფერი გამოგორჩეთ; ხომ იცით, იგი უბრალო პენსიონერი როდია, ორმოცი წელი მუშაობდა ელექტროსადგურების მშენებლობაზე, სერგო ორჯონიკიძესთანაც კი უსაუბრია.

— რა საინტერესოა! — გაფიქრა არჩილმა — აი, ისიც რომ პიონერი იყოს, ალბათ მასაც წაიყვანდნენ სტუმრად პენსიონერთან, ისიც მოისმენდა მის ნაამბობს. ალბათ, რამდენ რამეს უამბობს ბავშვებს. საინტერესოა, ახლოს იცნობდა თუ არა ორჯონიკიძეს. ვინ იცის, სულ ახლოს უნახავს და, აი, ასე შინაურულად უსაუბრიათ, როგორც არჩილი თავის ამხანაგებს ელაპარაკება ხოლმე... ეჰ, ნეტავ მალე გაიზარდოს, მაშინ ხომ წაიყვანენ არჩილს სტუმრად სახელოვან ადამიანებთან!

... არჩილი ოქტომბრელთა კუთხეში გაერთო. როდესაც შინ დაბრუნდა, კარებთან ჩვეულებრივზე დიდხანს რეკა ზარი. ბოლოს ბებია გამოჩნდა, ხელით ანიშნა — ჩუმიდ შემოდი, ბაბუასთან სტუმრები არიანო!

არჩილს არ გაკვირვებია ბაბუასთან სტუმრების მოსვლა, ხშირად მოდიოდნენ ისინი. მათ ოჯახში. მაშინ ბაბუა არჩილს ეზოში სათამაშოდ გაუშვებდა, თვითონ კი სქელ წიგნებსა და გრძელ ნახაზებს გადაშლიდა და რაღაცას გულდაგულ უხსნიდა თუ ეკამათებოდა სტუმრებს. ზოგიერთ მათგანს არჩილი კარგად იცნობდა და, ახლაც ფანჯრიდან შეიხედა — ნაცნობ სახეებს თუ მოგკრავ თვალსო. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ამით აქ რა უნდათ! — გაკვირვებისაგან ადვილზე გააშეშდა ბიჭუნა. — ბაბუას გარშემო პიონერები შემოსხდომოდნენ, მისი თანასკოლელები, აი, სწორედ ისინი, რომლებიც ახლახანს პიონერთა ოთახში ნახა... თურმე ნუ იტყვით, ის სახელოვანი ინჟინერი მისი ბაბუა ყოფილა! არჩილს კი დღემდე არა სცოდნია, თუ ასეთი საამაყო ბაბუა ჰყავს.

პიონერებით გარშემორტყმული ბაბუა კი სავარძელში იჯდა და ბავშვებს დინჯად უამბობდა იმ შორეული დღეების ამბავს, როცა იგი ახალგაზრდა იყო. ლაპარაკობდა აკაკი ქსოვრელი და მის თვალწინ ცოცხლდებოდნენ წარსული დღეების სურათები.

1922 წლის 10 სექტემბერი. თბილისს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაუფლებია. დიდსა და პატარას ხელში ბარი თუ წერაქვი უჭირავს და მატარებლებით, საზიდრებით, ან ფეხით მიჰყვებიან მცხეთის გზას. სად მიდის ეს ზღვა ხალხი, რამ ააღელვა? ყველას სახეზე ღიმილი დასთამაშებს — ისინი შაბათობაზე მიიჩქარიან, რათა საფუძველი



ჩაუყარონ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს. ამ ზღვა ხალხშია ჭაბუკი აკაკიც. გულდასმით ისმენს იგი სერგო ორჯონიკიძის ყოველ სიტყვას. სერგო კი იმ წერილს კითხულობს, რომლითაც ვ. ი. ლენინმა კავკასიელ კომუნისტებს მიმართა—მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობანი ფართოდ გამოიყენეთ ჰიდროენერგომშენებლობისათვის, დაიწყეთ დიდი სამუშაოები ელექტროფიკაციისათვის...

ასეა. ბრძენი ბელადის ნათელი აზრი საქართველოსაც მისწვდა, აქაც ეყრება საფუძველი მის დიად გეგმას, იწყება საქართველოში პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

... აკაკის გონებაში სწრაფად გაიბრინეს იმ გმირულმა დღეებმა. აი, ახალგაზრდა ტექნიკოსი სათავე ნაგებობის მშენებლობას დასტრიალებს. მზის ამოსვლისთანავე წამოიშლებიან ბიჭები და ხანდახან ლამითაც კი მუშაობენ მთვარის შუქზე! აბა, რა გული მოუთმენთ, როცა ასე ეჩქარებათ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნება... აი, ქრისტეფორე ჭიჭინაძე—დურგლების ათეულის ხელმძღვანელი. რაჭიდან ჩამოსულმა ბიჭებმაც აქ ისწავლეს ხელობა და დაოსტატდნენ კიდევ. ქრისტეფორე კი ისე კარგად გაეცნო სამუშაოს, რომ ხშირად ინჟინრის მაგიერობასაც ეწევა.

მოგონება მოგონებას მიყვება და ახლა ის დილა აგონდება აკაკის, როცა საარმატურო სამუშაოები უნდა დაიწყოთ, სპეციალისტები კი არ ჰყოფნიდათ. ვილაცამ ეს ამბავი თბილისში ჩაიტანა, შეიტყვეს ამის შესახებ რკინიგზელმა მუშებმა და დილით ათი ზეინკალი ჩამოვიდა მშენებლობაზე. ჭაბუკებმა მალე შეისწავლეს ახალი ხელობა და საქმე სწრაფად წავიდა წინ.

— ზაჰესს მთელი ქვეყანა აშენებდა!—ამბობს აკაკი და პიონერებს უამბობს, თუ რა ხშირად დადიოდა მშენებლობაზე სერგო ორჯონიკიძე, როგორ აინტერესებდა მას ყოველი წვრილმანი.

— სერგო ბევრს გვიამბობდა სილმე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის შესახებ, ქვეყნის ელექტროფიკაციის იმ გრანდიოზული გეგმის შესახებ, რომელიც ილიჩის ხელმძღვანელობით იქნა შეიმუშავებული!

არა, აკაკი ქსოვრელი ამ ოთხი ათეული წლის წინათ არ ყოფილა მოსკოვში. იგი არ დასწრებია საბჭოების იმ ერთიობას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმა დაამტკიცა, მაგრამ ის ორჯონიკიძის ნაამბობით კარგად იცის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ელექტროფიკაციას. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებშივე ლენინის მითითებით დაიწყო რუსეთის უმნიშვნელოვანესი რაიონების ელექტროფიკაციის გეგმის შედგენა.


ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმით უნდა აგებულიყო მილიონნახევარი კილოვატი საერთო სიმძლავრის მრავალი ელექტროსადგური. ვლადიმერ ილიას ძე დიდ ყურადღებას უთმობდა ელექტროფიკაციის საქმეს, იგი ყოველთვის პოულობდა დროს, რათა დახმარებოდა მშენებლებს.

რუსეთის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა იმდენად გრანდიოზული იყო, რომ, როდესაც ლენინმა მის შესახებ ინგლისელ მწერალ ჰ. უელსს უამბო, მრავალი ფანტასტიკური რომანის ავტორიც კი გაოცდა და ეს გეგმა უდიდეს საოცრებად, განუხორციელებელ ზოპრად ეჩვენა. უელსმა ლენინს კრემლის გენიალური მეოცნებე

უწოდა, ხოლო რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმას— ელექტრული ფანტაზია. მაგრამ, გავიდა წლები და უელსი დარწმუნდა, თუ რა მწარედ ცდებოდა! რუსეთის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა ვადაზე ადრე იქნა შესრულებული. 1932 წელს ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურების სიმძლავრემ 1.719 ათას კილოვატს მიიღწია. მარტო 1932 წელს მწყობრში ჩადგა მილიონნახევარი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურები, ესე იგი მთლიანად იმდენი, რამდენსაც ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა ითვალისწინებდა.


იმ საბჭოთა ადამიანებს შორის, რომლებმაც ფრთები შეასხეს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმას, იყო ახალგაზრდა მშენებელი აკაკი ქსოვრელიც. იგი სათუთად ინახავს იმდროინდელ ფოტოსურათებს, დღესაც მღელვარებით იღებს მათ და სტუმრად მოსულ პიონერებს უჩვენებს. აი, ერთი მათგანი: ზაჰესის მშენებლები კაშხალთან დგანან. მათ ზემოთ ვ. ი. ლენინის გიგანტური ქანდაკება აღმართულია მისი გამოილი ხელი თითქოს მომაჯლის გზას უჩვენებს ადამიანებს... ბევრმა წყალმა ჩაიარა კაშხალის კედლებში მას შემდეგ რაც ზაჰესის მშენებლობაზე ლენინური საგზურით მოსული ჭაბუკი დღე-ღამეს ასწორებდა, რათა ქალაქებსა და სოფლებში რაც შეიძლება მალე ანთებულიყო ილიჩის ნათურები. მას შემდეგ მრავალი ელსადგურის მშენებლობაზე უმუშავია აკაკი ქსოვრელს—აშენებდა რიონველეთის, როდესაც მატარებლით თუ მანქანით აკაკი ზაჰესს ჩაუვლის, გული უჩვეულოდ უწყებს ძვერას, თავს კვლავ ახალგაზრდად გრძნობს. აი, ახლაც ჭაბუკური გატაცებით ესაუბრება ბავშვებს. თვალწინ კი დიდი ლენინის სახე უდგას, რომლის იდეის განხორციელებას—ქვეყნის ელექტროფიკაციას—მოახმარა მან მთელი სიცოცხლე. გულს უხარებს აკაკი ქსოვრელს, რომ ილიჩის ნათურების ციმციმში მისი წვლილიც არის.

გურამ ბახტაძე





ქართველი



ბულო გიმნასტიკა, აიძულე შენი თავი გაეკეთა (რამდენიმე ათეული (არანაკლები) ყოველგვარი მოძრაობა“.

განსაკუთრებული მომთხონელობა საკუთარი თავისადმი ლენინის დამახასიათებელი თვისება იყო ყოველგვარ მუშაობაში. ჯერ კიდევ ბავშვობაში, ყოველგვარ საქმეს, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებდა, უაღრესი სერიოზულობითა და ყურადღებით ექცეოდა. სისტემატურობა, სიზუსტე და ფაქტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება—ეს თვისებები ლენინს ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში გამოუმუშავდა.

ლენინის უმცროსი ძმა დიმიტრი ულიანოვი, თავის მოგონებაში მოგვითხრობს, თუ როგორ ამზადებდა ლენინი სასკოლო დავალებებს, როგორ წერდა იგი სასკოლო თხზულებებს. ვალოდია ულიანოვს არ უყვარდა სასკოლო დავალების ნაჩქარევად შესრულება. ის მუშაობას იწყებდა დავალების მიღებისთანავე და სისტემატურად შრომობდა მის დამთავრებამდე. საინტერესოა სასკოლო

როგორ მუშაობდა ლენინი წიგნზე

ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის წიგნზე მუშაობის მეთოდის შესწავლა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ღრმად დაეუფლო ცოდნას და როგორ მოახმარო იგი ხალხს.

ლენინი მთელი სიცოცხლის მანძილზე სისტემატურად კითხულობდა, მუშაობდა თავისთავზე. გულმოდგინე და ენერგიული შრომით მან წაიკითხა და შეისწავლა უზარმაზარი ლიტერატურა მეცნიერების ყველა დარგში.


ცნობილია, რომ ლენინმა თვითგანათლებლაზე მუშაობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო. მისთვის წიგნი ცოდნის დაუმრეტელი წყარო გახდა. ვლადიმერ ილიას ძის ნათესავეები იგონებენ, რომ იგი მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებდა და მხოლოდ სეირნობის ან ამხანაგებთან საუბრისა და კამათის დროს ანებებდა წიგნს თავს.

ლენინი თავიდანვე გატაცებული იყო მარქსისტული ლიტერატურით. მან ახალგაზრდობაშივე შეისწავლა მარქსისა და ენგელსის ბევრი ნაშრომი; გარდა მეცნიერული ლიტერატურისა, ლენინი ბევრს კითხულობდა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურასაც. იგი დიდად აფასებდა ტოლსტოის, პუშკინის, ლერმონტოვს, გრიბოედოვს, ნეკრასოვს, ტურგენევს, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა მრავალ წარმომადგენელს.

წიგნზე მუშაობის პროცესში ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სისტემატურ ფიზკულტურულ ვარჯიშსაც. „მთავრია, არ დაივიწყო, — ურჩევდა იგი თავის დას, მარია ილიას ასულს, — ყოველდღიური, სავალდე-

თხულების დაწერის ლენინური მეთოდი. დიმიტრი ულიანოვი მოგვითხრობს, რომ, როცა სკოლაში დასაწერი თემა გამოცხადდებოდა და წერის ვადა დაინიშნებოდა, ლენინი მაშინვე იწყებდა მუშაობას. „ის ქალაქის მეოთხედზე ადგენდა თხზულების გეგმას შესავალითა და დასკვნითურთ. შემდეგ აიღებდა თაბახ ქალაქს, მას სიგრძეზე გაკეცდა შუაში და თაბახის მარცხენა არეზე მოხაზავდა შავს, აღნიშნავდა ასოებსა და ციფრებს შედგენილი გეგმის მიხედვით. მარჯვენა მხარე, ანუ ფართო არეები, სუფთა რჩებოდა. მასზე შემდეგ შეჰქონდა დამატებანი, განმარტებანი, შესწორებანი; აგრეთვე აღნიშნავდა ლიტერატურას—იხილე აქა და აქ ესა და ეს გვერდიო... თხზულების წარდგენამდე ცოტა ხნით ადრე, იგი აიღებდა ქალაქის სუფთა ფურცლებს და მთელ თხზულებას სწერდა შავად, თან მიმართავდა მის მიერ გაკეთებულ აღნიშვნებს სხვადასხვა წიგნებში, რომლებიც მას უკვე წინასწარ ჰქონდა მომარაგებული. ახლა მას ისლა რჩებოდა, რომ სუფთა რვეული აეღო და მეღნიით თეთრად გადაეწერა სავსებით დამუშავებული და გამზადებული თხზულება“.

ჭაბუკი ლენინი უკვე ღრმა მეცნიერული ცოდნით იყო შეიარაღებული, მაგრამ იგი, როგორც წესი, არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით და სისტემატურად ზრუნავდა თავისი თეორიული ცოდნის გამდიდრებაზე—ფილოსოფიაში, ეკონომიკაში, ისტორიაში და მეცნიერების სხვა დარგებში. თავისი ენერგიული შრომით ლენინმა კარგად შეისწავლა კაცობრიობის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა. ამ ცოდნას იგი შემდეგში მუდამ მარჯვედ იყენებდა თავის პოლიტიკურ, მეცნიერულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში.



დიდმა ლენინმა მიზნად დაისახა მთელი თავისი ცოდნა, ენერჯია და გამოცდილება მუშათა კლასისათვის მოეხმარებინა. მისი ამოცანა იყო მშრომელთათვის გასაგებად ეწერა. „არაფერი ისე არა მსუსრს, — აღნიშნავდა იგი, — არაფერზე ისე ბევრი არ მოცუნიება, როგორც იმის შესაძლებლობაზე, რომ ეწერო მუშებისათვის“.

ლენინი თავისი ტოლ-მეგობრებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, და ეს ძვირფასი თვისება, განსაკუთრებულ ნიჭთან ერთად, ეხმარებოდა მას მოფიქრებული საქმის წარმატებით განხორციელებაში.

ლენინი სხვადასხვა საკითხებზე მუშაობის დროს სისტემატურად აგროვებდა ახალ მასალებს, იძენდა ლიტერატურას. მეფის ხელისუფლებისაგან დევნილი ლენინი

იძულებული იყო ფულის სასტიკი მოძჭირნეობა გაეწია, მაგრამ წიგნების ყიდვაზე იგი ფულს არ იშურებდა და თავისი მცირე სახსრების უმეტეს ნაწილს მათ შეძენაზე ხარჯავდა. იგი წაუკითხავს არ ტოვებდა არც ერთ წიგნს, რომლის არსებობის შესახებაც კი გაიგებდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ლენინი არ მოერიდა ხარჯებს და სამარადიან სპეციალურად ჩავიდა პეტერბურგში, რათა წაეკითხა ფრიდრიხ ენგელსის ცნობილი შრომა — „ანტი-დიუჩინგი“, რომელიც მაშინ სამარაში არ იშოვებოდა.

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნის დედანში წაკითხვას, მაგრამ ამისათვის ხომ აუცილებელი იყო უცხო ენის ცოდნა? ლენინი ბავშვობიდანვე შეუდგა უცხო ენების შესწავლას. პირველ ხანებში იგი ძალზე გაიტაცა ლათინურმა და ბერძნულმა ენებმა. ამავე დროს, უდიდესი გულმოდგინებით მოეკიდა გერმანული ენის შესწავლას, რაც მას სჭირდებოდა მარქსის წიგნების დედანში წაკითხვისთვის. ლენინმა საფუძვლიანად შეისწავლა გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები, ესმოდა შვედური და ჩეხური ენები. იგი მარჯვედ იყენებდა ლექსიკონებს, სახელმძღვანელოებს, ღრმად ეუფ-

ლებოდა გრამატიკას. უცხო ენის დაუფლების საქმეში ლენინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა დამოუკიდებლად თარგმნას უცხო ენიდან მშობლიურზე და პირიქით, მშობლიურიდან უცხო ენაზე. „ჩემი გამოცდილებით დავრწმუნდი, — მიუთითებდა ლენინი, — რომ ეს ენის შესწავლის ყველაზე რაციონალური საშუალებაა“. დიდმა ლენინმა თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. უცხოეთში ყოფნის დროს იგი უმთავრესად ბიბლიოთეკებში მუშაობდა; თავისი ერთ-ერთი ფილოსოფიური ნაწარმოების დასამთავრებლად, ლენინი 1908 წელს ჟენევიდან ლონდონს გაემგზავრა, რათა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში ემუშავა. აქ მან ერთი თვე დაჰყო და გულმოდგინედ მუშაობდა იმ ლიტერატურაზე, რომელიც ჟენევაში არ მოიპოვებოდა. აქვე შეაგროვა მისთვის საჭირო

უამრავი მასალა, რომელიც წარმატებით გამოიყენა თავის შრომაში.

ვლადიმერ ილიას ძე ყოველთვის დაკვირვებული და გულდასმით კითხულობდა. ძნელად გასაგებ ადგილებს რამდენიმეჯერ გადახედავდა. წაკითხულს კრიტიკულად უდგებოდა. წიგნის კითხვის დროს ლენინს ცალკე რვეულებში შეჰქონდა მისი მოკლე შინაარსი, აგრეთვე საკუთარი აზრები, რომლებიც მას კითხვის დროს დაეხმარებოდა. თუ წიგნი ლენინის საკუთრება იყო, იგი მოურიდებლად ხაზავდა მას, ცალკეულ წინადადებებს ლენინი ორ ან სამ ხაზს გაუსვამდა ხოლმე. ერთ სიტყვას ტალღისებურ ხაზს უსვამდა, მეორეს შავ ხაზს, ერთს უბრალო ფრჩხილებში სვამდა, მეორეს ფიგურალურ ფრჩხილებში და ასე შემდეგ. ყოველივე ეს მას უდიდეს დახმარებას უწევდა სწრაფად ეპოვნა საჭირო ადგილი ამა თუ იმ წიგნში. ლენინს ჩვეულებად ჰქონდა წაკითხული წიგნების დაკონსპექტება. სამუშაო რვეულებს იგი თვითონ ასათაურებდა, თვითონვე ურთავდა მოკლე საძიებელს, რომ გაადვილებოდა საჭირო გვერდის მალე პოვნა.

წიგნის კითხვის დროს ლენინი საჭირო შენიშვნებსა და აღნიშვნებს აკეთებდა წიგნის კიდეებზე (თუ წიგნი მის საკუთრებას შეადგენდა), იგი ხაზს უსვამდა უმნიშვნელოვანეს ადგილებს, უსვამდა მათ ძახილის ნიშანს, კითხვის ნიშანს და სხვ. ასევე ექცეოდა იგი თავის სამუშაო რვეულებს. რაც უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ამა თუ იმ ნაწარმოებს, მით უფრო მეტად შრომობდა მასზე. იგი თვითონ ამოწმებდა ამა თუ იმ წიგნში დაბეჭდილ სტატისტიკურ მონაცემებს. ზოგჯერ წიგნის ბოლოს, თავისუფალ ფურცელზე, ლენინი საერთო დასკვნას იძლეოდა, ადგენდა აგრეთვე მისთვის საინტერესო გვერდების საძიებელს.

მიუხედავად იმისა, რომ ლენინს ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა, იგი მაინც იწერდა თითოეულ ფაქტს, ციფრს; მუშაობის ასეთი მეთოდი დაეხმარა ლენინს განემტკიცებინა თავისი მეხსიერება. ამასთან წიგნზე მუშაობისას ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა დროის

დაზოგავს, სიზუსტეს, პუნქტუალობას. მას უყვარდა საკითხის ყოველმხრივი განხილვა. იგი წაკითხულს მუდამ უკავშირებდა სინამდვილეს.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, დიდი მეცნიერი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ლიტერატურისა და ხელოვნების, ფიზიკისა და მათემატიკის მცოდნე იყო. ასეთ მრავალმხრივ განათლებას ლენინმა მიაღწია ენერჯიული, სისტემატური და გულმოდგინე მუშაობით. ამიტომ ლენინური შრომისმოყვარეობა, წიგნზე მუშაობის მისი მეთოდი, თავისთავისადმი მომთხოვნელობის ლენინური მიდგომა სანამუშაო მაგალითია ყველა პიონერისა, კომკავშირელისა, ახალგაზრდისა და საერთოდ ყველა ადამიანისათვის.

ლენინის მერხი

ერთი უბრალო მერხია, მსგავსი ყოველი მერხისა, მაგრამ მას სულ სხვა დიდება, სხვა სიხარული ეღირსა.

დგას იგი, როგორც საუფჯე, დროთა სვლას ვადარჩენილი. ამ მერხზე იჯდა ყრმობის ქამს ლენინი, ჩვენი ლენინი.

ამ მერხს უნახავს თვალები — შუქისმთოველი მზესაკით: ამ მერხს ათობოდა ხელები — ქვეყნად სიმართლის მთესაკით.

დგას მერხი — მრავალ დროების, მრავალი ამბის მნახველი, მარად უკვდავი ლენინის ბავშვობის შემომნახველი.

ს. შაჰურჩიანი

ლევან ბარაბაძე



ლენინ, შენა ხარ ეს გაზაფხული

გადაპენტილან თეთრად ტყემლები,
ირგვლივ ფუტკრები ფერხულს უვლიან.
დგას აპრილი და ალვის ხეებით
წერს ჩვენს მიწაზე—
გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა !

ლენინ, შენა ხარ ეს გაზაფხული,
ეს აღმაფრენა, ეს ასხივება...
ყველა სიამე და სიხარული
შენმიერია, შენგან იწყება.

ქუჩა ივსება ია-იებით,
იბადრებიან კვირტნი მზებურად,


ჩვენი ქუჩებიც, ჩვენი მინდვრებიც
ამ გულეზივით ამღერებულან.

ლენინ, შენა ხარ ეს ამღერება,
აქ თუ მღერიან, შენზე მღერიან.
და ყველა ჩვენი ბედნიერება
შენგან იწყება, შენმიერია.

გადაპენტილან თეთრად ტყემლები,
ირგვლივ ფუტკრები ფერხულს უვლიან,
დგას აპრილი და ალვის ხეებით
წერს ამ მიწაზე—
გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა !

მორის უოხნივილი

ბავშვების წერილები



როზა ლუქსემბურგის სახელობის მოზარდთა
აღსაზრდელო სახლის გობონებისაგან
1923 წლის 24 მაისი.

პატივცემულო ამხანაგო ლენინ!

უარს ნუ გვეტყვი, ეს მოკრძალებული სალამი მიი-
ღოთ ჩვენგან — როზა ლუქსემბურგის სახელობის მოზარ-
დთა აღსაზრდელო სახლის ბავშვებისაგან.

ჩვენ, შორეული ციმბირის ბავშვები, როგორც მსო-
ფლიო რევოლუციის ბელადს, მადლობას გიძღვნი ყვე-
ლაფრისათვის. თქვენი ალერსითა და ზრუნვით გამთბა-
რნი, ნელ-ნელა ვიფიქვებთ იმ მძიმე დროს, რომელიც
გადვიტანეთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე,
ახალი ძალების მოკრებას ვიწყებთ იმისათვის, რომ ჩვე-
ნით იამაყონ და საიმედო ცვლა ვიყოთ იმათი, ვინც
მტკიცედ იდგა მსოფლიო მნიშვნელობის დიადი რეს-
პუბლიკის მშენებლობის შრომითს გზაზე.

პირობას გაძღვეთ, მტკიცედ და ამაყად ვატაროთ
წინ წითელი აღამი, რომელიც მოპოვებულია თქვენი
ტანჯვითა და სისხლით. გვეგონა, რომ ჩვენთან — შორე-
ულ, პირქუშ ციმბირში, ჩვენი პატივცემულ ბელადთაგან
არავინ გვინახულვდა, მაგრამ ამხანაგ ლუნაჩარსკის ჩა-

მოსვლამ დაგვიანდა, რომ თქვენც განახეთ, ძვირფასო
ამხანაგო ლენინ. ჩვენ ყოველდღე თვალს ვადევნებთ
გაზეთებში თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას და
მოუთმენლად ველით თქვენს გამოკვებებას. მალე გამო-
ჯანმრთელდით, ძვირფასო და პატივცემულო ამხანაგო
ლენინ.

როზა ლუქსემბურგის სახელობის № 29 მოზარდთა
სახლის აღსაზრდელო გოგონები

პატარა ბიჭუნა ტიხონ კუჩკოვისაგან
სოფელი პროლეი კაში, ტეტიუშის მაზრა, ყაზანის გუბერნია,
1919 წლის 6 აგვისტო

ძვირფასო ლენინ!

გიძღვნი სალამს სოციალიზმის დაჩქარებითი განვი-
თარების სურვილით. მე, 13 წლის ბიჭმა, აღზრდილმა
ღვთისმორწმუნე და გაუნათლებელი მშობლების მიერ,
ამჟამად კავით რომ ვემუშაობ ჩემთვის და სოციალისტური
რუსეთისათვის პურის მოსაპოვებლად, განვიზრახე მოგ-
წეროთ თქვენ ეს წერილი, ანუ, გამოვიცხადოთ ჩემი
ერთსულოვნება მსოფლიო რევოლუციის დიდ ბელადს
— ამხანაგ ლენინს!

ძვირფასო ლენინ!

სამარცხენოდ მიმაჩნია გწეროთ რევოლუციისათვის უსარგებლო წერილები, რადგან ასეთი წერილები თქვენ მოგწვევებენ დიად საქმეებს. მაგრამ, იცით რა, მე, 13 წლის ბიჭმა, რომელსაც თავდავიწყებით მიყვარხართ, თავი ვერ შევიკავე და მოგწერეთ ეს წერილი, რომლის მიზანი შემდეგია:

1) გულისხმიერება გამოიჩინოთ ამ ბავშვური წერილისადმი.

2) რათა ამ გულისხმიერებით გარემოცული მთელი სიცოცხლე ვფიქრობდე, რომ ამხანაგ ლენინს ძალიან უყვარს ბავშვები და ეს აზრი მიმაჩნდეს ძვირფას სოციალისტურ აზრად.

ძვირფასო ლენინ!

თუ თქვენ ერთი წუთი მაინც გექნებათ თავისუფალი, მომწერეთ სულ რამდენიმე სიტყვა ზემოაღნიშნული გრძნობებით. ჩემი მისამართია: ყაზანის გუბერნია, ტეტუშის მაზრა, პროლეი კაშის თემი, სოფ. პროლეი კაში, ტიხონ ილიას ძე კურკოვს.

ამხანაგო ლენინ!

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მე, როგორც პატიოსანი ბიჭი, ვარ პროლეი კაშის კულტურულ-საგანმანათლებლო წრის თავმჯდომარე, სარევიზიო კომისიის წევრი და ამავე დროს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

კურკოვი*)

ქალაქ სემსტროპოლის ბავშვთა კონფერენციის
საბანო 1922 წლის 21 დეკემბერი

**მოსკოვი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
ამხანაგ ლენინს**

საყვარელო და ძვირფასო პაპავ, ქალაქ სემსტროპოლის საბავშვო სახლებისა და პირველი საფეხურის სკოლების ბავშვები, რომლებიც დღეს პირველად შევიკრიბებით ჩვენი გაერთიანებისა და ორგანიზებული მუშაობისათვის, ჩვენი კონფერენციის საპატიო თავმჯდომარედ გირჩევთ თქვენ, ჩვენო საყვარელო პაპა ლენინ, და გთხოვთ, გვერწმუნოთ, რომ ჩვენ, სემსტროპოლის პროვინციის ბავშვები, დროს უსარგებლოდ არ ვკარგავთ, ვირაზებით და ვიზრდებით ისე, რომ ვიყოთ ღირსეული მიმდევრები ჩვენი უფროსი ამხანაგებისა, რომლებიც ჩვენ უნდა შევცვალოთ. შევინარჩუნებთ და წინ წავწევთ იმას, რაც მოპოვებულია ჩვენი მშობლების სიცოცხლის ფასად. დე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვართ მოწინავე, შემცვლელი რაზმი დადლილი ამხანაგებისა, რომელთაც მოგვიპოვეს ნამდვილი ცხოვრებისა და შეკავშირების შესაძლებლობა.

კონფერენციის პრეზიდიუმი

*) ამჟამად კურკოვი ტეტუშის შვიდწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელია.

საჭირია აღინიშნოს ლენინის კიდევ ერთი უნარი—ცხოვრების ყველა შემთხვევაში შეინარჩუნებინა დინჯი, მშვიდი და მტკიცე სულიერი მდგომარეობა... მან იცოდა, რომ ასეთი წონასწორობა საჭიროა მისი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რომელიც მთელი მისი სიცოცხლის აზრს შეადგენდა. აი, რატომ იყო, რომ იგი მტკიცედ ივითარებდა ამ თვისებას და ცდილობდა მის შეინარჩუნებას.

ანრი ბარბიუსი

ფრანგი მწერალი

როგორც არ უნდა იყოს ამ ბრძოლის უახლოესი შედეგი, ლენინი და მისი რუსეთი, მისი ჰუმანურობა და სამართლიანობა, რაც მან ქვეყნის მართვაში შეიტანა, საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვებს. ვინაიდან, თუმცა ლენინი ცოცხალთა შორის აღარ არის, მაგრამ სოციალური წყობილება, რომელიც მან შექმნა, და რომელიც მისმა თანამებრძოლებმა და მემკვიდრეებმა მას შემდეგ ახლანდელ ძლიერებამდე და სიღიადემდე მიიყვანეს, არასოდეს არ დაიკარგება მომავალი თაობებისათვის.

თეოდორ დრაიზერი

ამერიკელი მწერალი

...ლენინისა და მისი იდეების ძალის დიადო წყარო ხწორედ ის იყო, რომ მან სახეებით ზუსტად იცოდა, საით მიდის და საით მივყვართ ისტორიულ განვითარებას.


იულიუს ფუჩიკი

ჩეხი მწერალი

ენებრივით აღსავსე ადამიანმა, ბუნებისა და ბავშვების მოყვარულმა, გონებამახვილმა და ურთიერთობაში უბრალოდ... ადამიანმა, მოკლებულმა ყოველგვარ აფექტაციას და დიდილოებულმა გენიის ყველა ნიშნით, რომელმაც სიყვარული იცოდა და რომელიც ძლიერ უყვარდათ,—ახალი ნიშანსვებო დადგა კაცობრიობის ისტორიაში. ეს იყო ფილოსოფოსი, რომელიც ადამიანთა ბელადი იყო, ბელადი, რომელიც კაცთმოყვარე იყო, კაცთმოყვარე, რომელსაც სძულდა ექსპლოატატორთა ფარისევლობა და სისასტიკე და ცოტას მიერ ბევრის ტანჯვა.

რალფ ფოქსი

ინგლისელი ისტორიკოსი და პუბლიცისტი



ყველანი მიხვდნენ, თუ რა უბრალო ადამიანი იყო ლენინი. ის ხომ მთავრობის თავმჯდომარე იყო და შეეძლო გაეცა განკარგულება, შეემა ყველაზე ადრე მე მომიტანეთო, მაგრამ ლენინმა ეს არ იკადრა. მას სურდა ეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდნენ სხვა მშრომელები.

გავიდა ერთი კვირა და კოსტრომიდან ლენინს ერთი ვაგონი შეემა მოუვიდა. კოსტრომელი გლეხები წერდნენ:

ჩვენ შენს სახელზე მოვჭერით შეშა და გიგზავნით. დაანთე და გათბო...

ასეთი უბრალო იყო ლენინი. ამიტომ უყვარდათ ის გლეხებს, მუშებს და ყველა მშრომელთ.

**ეს იყავა ლენინი
წესრიგს**

ერთხელ ლენინი კრემლის საპარკმახეროში შევიდა წვერის მოსაპარსად. საპარკმახეროში ათიოდე კაცი იჯდა და რიგს უცდიდა. ლენინი სკამზე ჩამოჯდა, ქუდი მოიხადა და გაზეთის კითხვა დაიწყო. ლენინი რომ დაინახეს, ყველანი წამოცვიდნენ და რიგს გარეშე გაპარსვა შესთავაზეს. ლენინმა უარი განაცხადა.

— წესრიგის დარღვევა არ შეიძლება, — სთქვა მან. — ჩემი რიგი როცა მოვა, მაშინ გავიპარსავ.

ლენინს არ დაუჯერეს. ისევ ისე დაჟინებით შესთავაზეს რიგს გარეშე გაპარსვა. ლენინი ისევ ისე მტკიცე უარზე იდგა. წესრიგის დაცვა ყველასათვის სავალდებულოაო, ამბობდა ის.

მაშინ ერთმა მუშამ ასე უთხრა ლენინს:

— მე ხომ მაქვს უფლება, დაფთომო ჩემი ადგილი ვისაც მინდა? ეს ხომ ჩემი პირადი საქმეა? ჰოდა, მე გადავიფიქრე: არ გავიპარსავ დღეს... ამიტომ ანებეთ ჩემი რიგი!

— ჰოო! ეს შეიძლება! — გაიღიმა ლენინმა და ჩაჯდა საეარძელში...

ასე იცავდა ლენინი წესრიგს.

რომელ ქალაქში?

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დროს რუსეთისა და საზღვარგარეთის ბევრ ქალაქში მოუხდა ცხოვრება. ამ სქემატურ რუკაზე მოცემულია ციფრებით დანომრილი სწორედ ის ქალაქები, სადაც ლენინს უცხოვრია.

ბავშვებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა და უოველ ქალაქს ციფრის ნაცვლად, საკუთარი სახელები დაუწერეთ. დახმარებისათვის კი ქვემოთ მოყვანილ კოორდინატებს მიმართეთ.

1. ჩრდ. გ. 55° 40'; აღმ. გ. 12° 34'; 2. ჩრდ. გ. 51° 30'; დას. გ. 0° 5'; 3. ჩრდ. გ. 48° 50'; აღმ. გ. 2° 20'; 4. ჩრდ. გ. 46° 12'; აღმ. გ. 6° 8'; 5. ჩრდ. გ. 46° 55'; აღმ. გ. 7° 30'; 6. ჩრდ. გ. 47° 22'; აღმ. გ. 8° 32'; 7. ჩრდ. გ. 24° 8'; აღმ. გ. 11° 35'; 8. ჩრდ. გ. 48° 13'; აღმ. გ. 16° 20'; 9. ჩრდ. გ. 50° 5'; აღმ. გ. 14° 25'; 10. ჩრდ. გ. 51° 20'; აღმ. გ. 12° 25'; 11. ჩრდ. გ. 52° 30'; აღმ. გ. 13° 25'; 12. ჩრდ. გ. 50° 5'; აღმ. გ. 19° 55'; 13. ჩრდ. გ. 59° 20'; აღმ. გ. 18° 4'; 14. ჩრდ. გ. 61° 30'; აღმ. გ. 23° 48'; 15. ჩრდ. გ. 60° 10'; აღმ. გ. 24° 51'; 16. ჩრდ. გ. 59° 9'; აღმ. გ. 30° 3'; 17. ჩრდ. გ. 57° 8'; აღმ. გ. 28° 4'; 18. ჩრდ. გ. 57° 0'; აღმ. გ. 24° 1'; 19. ჩრდ. გ. 54° 7'; აღმ. გ. 25° 3'; 20. ჩრდ. გ. 55° 8'; აღმ. გ. 37° 6'; 21. ჩრდ. გ. 55° 8'; აღმ. გ. 39° 0'; 22. ჩრდ. გ. 56° 3'; აღმ. გ. 44° 0'; 23. ჩრდ. გ. 56° 1'; აღმ. გ. 40° 4'; 24. ჩრდ. გ. 53° 1'; აღმ. გ. 50° 1'; 25. ჩრდ. გ. 54° 3'; აღმ. გ. 48° 4'; 26. ჩრდ. გ. 53° 7' აღმ. გ. 91° 27'; 27. ჩრდ. გ. 56° 0'; აღმ. გ. 92° 8'.

შეადგინა ა. ჭეიშვილმა

ლენინისეული სამელნე

პატარა ბიჭუნა ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის კიბეზე იჯდა და გულამოსკვნით ტიროდა. ტიროდა ისე, თითქოს ყველაზე ძვირფასი რამ დაუკარგავსო. მას აქ, მუზეუმში, ლენინისეული სამელნე მოჰქონდა, მაგრამ ხელიდან დაუცურდა და დაემსხვრა.

— ნუ ტირი, სამელნეს ისე შეეკეთებთ, რომ ახალს დაგამსგავსებთ, — აწყნარებდნენ ბიჭუნას მუზეუმში.

ლენინის სამელნე! როგორ მოხვდა იგი საშა რაბინთან?

სამელნე საშას ბებიამ გადასცა და უთხრა:

— გაუფრთხილდი. ეს სამელნე პაპაშენს თვითონ ვლადიმერ ილიას ძემ აჩუქა. მაშინ პაპა კრემლის კომუნდატურაში მუშაობდა. მუშაობდა კარგად, სამაგალითოდ. მაგრამ აი, ერთხელ, პაპამ გაიგო, რომ იგი სხვა სამუშაოზე გადააყვავდა, და ლენინთან გამოსათხოვრად მივიდა. ვლადიმერ ილიას ძე კაბინეტში იჯდა

და რაღაცას წერდა. დაინახა პაპა და ჰკითხა «რაო, ივანე დიმიტრის ძე?» «მოვედი, რათა გამოგთხოვოთ, ვლადიმერ ილიას ძეგ მე ხომ სხვა სამუშაოზე გადავდივარ», — უპასუხა პაპამ. «ძვირფასო ივანე დიმიტრის ძეგ, მაინც რა გაჩუქეთ სამახსოვროდ?» — იკითხა თურმე ლენინმა — აი, თუნდაც ეს სამელნე. იგი ხომ ბროლისაა. აი, კიდევ საფერფლეუ. პაპაშენი ამ საჩუქარმა ძალიან გაახარა.

პაპა გარდაიცვალა. ომი დაიწყო. სამელნე და საფერფლეუ ნათესავთა ოჯახებში მოხვდა. ბებიამ სამელნე იპოვა, საფერფლეუ კი დღესაც არ იცის ვისთან არის.

ვიღაცამ ურჩია საშას, სამელნე ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმში წაიღეო. ბიჭუნა დიდხანს ყოყმანობდა, ვერ იმეტებდა ასეთ ძვირფას ნივთს. ასეთი რამ ხომ არც ერთ ბიჭს არ გააჩნია! მაგრამ მერე გადაიფიქრა, შეახვია სამელნე ქალაქში და რევოლუციის მოედინსაკენ გაეშურა. და აი, სწორედ მუზეუმის კიბეზე შეემთხვა ეს ხიფათი!

... ახლა საშამ გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაუხადეს, ნათესავთა ოჯახებში ლენინის საფერფლეუ მოძებნოს.



ფოსტა



ქვეყნის მკვლევარი

ორითასი წლის წინათ რომში უკვე არსებობდა ნამდვილი ფოსტა, საფოსტო ეტლი. ეს ეტლი გავლილ მანძილს მრიცხველით ზომავდა, რომელიც ბორბლის ყოველ შემობრუნებას ითვლიდა. (ეს მრიცხველი თანამედროვე ტაქსებზე არსებული მრიცხველების წინამორბედი).

ევროპის ყველა კუთხიდან მონასტრები რომში გზავნიდნენ ეგრეთწოდებულ მიმლოცავეებს. მიმლოცავეები მგზავრობდნენ უცხო ქვეყნების გავლით. მონასტრები და ბერები კისრულობდნენ წაელ-წამოელოთ წერილები სათანადო საფასურად. ასეთ ფოსტას „მწირთა ფოსტა“ ეწოდებოდა.

რაინდების ორდენები, თავის მხრივ, როცა მღევრებს გზავნიდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, ამ წარგზავნილების საშუალებით, წერილების

მტრედების ფოსტა

სამიათასი წლის წინათ, ფარაონების დროს, ეგვიპტეში მეზღვაურებს თან მიჰყავდათ მტრედები, რომლებსაც ფრთებში ან ფეხებზე გამოაბამდნენ წერილებს და უშვებდნენ. მტრედები ბრუნდებოდნენ უკან და მიჰქონდათ მეზღვაურთა მიერ გამოგზავნილი ცნობები.

მტრედების ფოსტა მაშინაც კი არსებობდა, როცა ადამიანებმა წერა არ იცოდნენ. ამ შემთხვევაში მტრედს ატანდნენ რაიმე პირობით ნიშანს. ზეთისხილის შტო მშვიდობიანობის ემბლემად ითვლებოდა. ჩვენს დროშიაც კი, მტრედი, ნისკარტში ზეთისხილის შტოთი, მშვიდობიანობის ემბლემად ითვლება.

ძველ საბერძნეთში მტრედების ფოსტის საშუალებით შორეულ ქალაქებს აუწყებდნენ ოლიმპიური სპორტული თამაშების დაწყებას და შედეგებს. ამისათვის მტრედებს ფეხებზე გამოაბამდნენ იმ ფერის ზონარს, რომელიც გამარჯვებულის მიერ თავიდანვე იყო არჩეული.

მტრედებს იყენებდნენ ომებშიაც. მტრის მიერ გარემოცული ქალაქები



შიკრიკები მიაქროლებდნენ იმპერატორის წერილებს, არ ზოგავდნენ ცხენებს, ოღონდ კი დროულად მიეტანათ წერილები დანიშნულებისამებრ.


იქ კი, სადაც უზოობის გამო საფოსტო ეტლი ვერ გაივლიდა, შიკრიკად ვლადიატორებს გზავნიდნენ. რომის ფოსტა მხოლოდ სახელმწიფო დავალებებს ემსახურებოდა და იმპერატორის, ან მის მიერ ამ საქმეზე გამოყოფილ პირებს გარდა, არავის არ ჰქონდა უფლება, ესარგებლა სახელმწიფო ფოსტის მომსახურებით.


საშუალო საუკუნეების დაქუცმაცებულ ევროპაში არ იყო ერთიანი ფოსტა, სამაგიეროდ, როგორც სახის ფოსტა გინდათ, რომ იქ არ აღმოცენდა: პაპის ფოსტა, რაინდების ფოსტა, უნივერსიტეტის ფოსტა და ყასბების ფოსტაც კი.

გადატანასაც კისრულობდნენ. ამას ეწოდებოდა „რაინდების ფოსტა“.

პარიზის უნივერსიტეტში საშუალო საუკუნეების ევროპის ყველა კუთხიდან თავს იყრიდა სტუდენტების დიდი რაოდენობა. მათი მშობლებთან კავშირის დამყარების მიზნით, პარიზის უნივერსიტეტმა დააარსა თავისი, „უნივერსიტეტის ფოსტა“.


იმ დროს, როცა გავერანებულ, უზო-უკვლო ევროპაში, ხალხი ხარებშებმული ეტლებით მოგზაურობდა, სულ სხვა მდგომარეობა იყო ახლო აღმოსავლეთში. ეს მხარე მოფენილი იყო მშვენიერი საფოსტო გზებით და სადგურებით. ექვსი მშვენიერი საფოსტო გზა იყო გაქიმული ბაღდადიდან ხალიფას საბრძანებლის ყველა კუთხემდე.





მტრედების საშუალებით ღებულობდნენ საჭირო ცნობებს. მაგრამ, ამის საწინააღმდეგოდ, მტერი ქორ-მიმინოებს იყენებდა, რომელსაც წინდაწინ წვრთნიდა და საფოსტო მტრედების გასანადგურებლად გამოყავდა.

საფრანგეთ პრუსიის ომის დროს (1870-1871—წ.წ.), როცა პრუსიელებმა პარიზს ალყა შემოარტყეს, ფრანგებმა საჰაერო ფოსტა შემოიღეს. თვითმფრინავები მაშინ არ იყო. ფრანგებმა ალყის დროს პარიზიდან 64 საჰაერო ბურთი გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ პრუსიელებმა მათ საწინააღმდეგოდ კრუპის ქარხანაში სპეციალური ზარბაზნები დაამზადეს, მხოლოდ ხუთი ბურთის ჩამოგდება შეძლეს. დანარჩენიდან ორი წყალში ჩავარდა, ხოლო ორმოცდაჩვიდმეტმა—მიზანს მიაღწია. ასეთ ბურთებს გარდა, ფრანგები მტრედებსაც იყენებდნენ. წონის შემცირების მიზნით, იღებდნენ წერილების მინიატურულ ფოტოასლებს. როცა ასეთი წერილები მტრედების



საშუალებით დანიშნულ ადგილზე მიდიოდა, მათი წაკითხვა გამაღივებელი შუშით, ან კიდევ პროექციით ხდებოდა ეკრანზე, ჯადოსნური ფანტის საშუალებით.

ბელგრაფი „დაფ-დაფი“

ხმოვანი „ტელეგრაფი“ კავშირის სულ პირველყოფილი საშუალებაა, რომელიც ზოგიერთ ჩამორჩენილ ხალხებს ჩვენს დრომდეც შემორჩათ.

ცნობილია, რომ 1914 წლის ომის დაწყების ამბავი ცენტრალური აფრიკის ტომებს შორის სწორედ „დაფ-დაფის“ საშუალებით გაგრძელდა სამი დღის განმავლობაში. აი, როგორ მოხდა ეს: სოფელში, სადაც პირველად გაიგეს ეს ამბავი, დაუწყეს ცემა უზარმაზარ დაფს. გაიგონა რა დაფის ხმა, მეზობელმა სოფელმა თავის მხრით იწყო დაფის ცემა და ასე, სოფლიდან სოფელს ზედიზედ გადაეცა ამ ომის ამბავი.

პეტერბურგს: როცა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის კურთხევა დასრულდა, გაისმა თოფის ხმა; მას ხმა გასცა მეორე თოფმა, და ასე შემდეგ, მოსკოვიდან პეტერბურგამდე ჯარისკაცებმა თანმიმდევრობით გასროლის საშუალებით მიაწვდინეს პეტერბურგს ცნობა ნიკოლოზ პირველის ხელმწიფედ კურთხევის შესახებ.


ნასკვების ფოსტა

ცნობილია კიდევ ერთი სახის კავშირის საშუალება: დაახლოებით ოთხი საუკუნის წინათ, როცა ესპანელები ამერიკაში შეიჭრნენ, მათ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის აღმო-



აჩინეს უჩვეულო „ფოსტა“. იგი წარმოადგენდა სხვადასხვა სახისა და ფორმის ბაწრებისა და ზონრების ნასკვებს. როგორც გამოიჩვენა, მნიშვნელობა ჰქონდა ნასკვებთა რაოდენობას და ზონართა ფერს. ეს ყველაფერი პირობითი ნიშნები იყო.

პერუს სახელმწიფოში დამწერლობა არ არსებობდა. ქალაქებში იყვნენ ეგრეთ წოდებული კვიპოსკამაიოსები,



ნიკოლოზ პირველმა ტახტი მოსკოვში იკურთხა. ამ კურთხევის ამბავი „დაფ-დაფის“ მაგვარი წესით გადაეცა მაშინდელ სატახტო ქალაქს,

ესე იგი ისეთი ოსტატები, რომლებმაც იცოდნენ როგორც ნასკვების კეთება, ასევე ამ ნასკვების ამოხსნის საიდუმლოებაც.

გ. ტიხცაძე
ნახ. თ. სამხონაძისა



ნუბიის ძეგლები



ივოცხლენ

წითელი, თითქოს არაბეთის უდაბნოს ღუმელში გამოწვესო, მრგვალი მზე ამოცურდა პორიზონტს იქიდან და სილის ოკეანე უმაღლ დაიფარა მშრალი, სულისშემბუთავი, გავარვარებული პაერთი. ცხელი ბული დააწვა გარემოს, სილას, კლდეს, თიხას. ნუბია, ძველთა-ძველი ქვეყანა კიში...

დაუჯერებელია, რომ ადამიანი შეძლებს ამ მიწის მორწყვას. აზრიც კი ზღაპარს ჰგავს, რომ ეს სილის ოკეანე ოდესმე წყლის ოკეანედ გადაიქცევა. ეს ზღაპარი მალე უნდა ახდეს. მომავალი ოკეანე უკვე კარგად ჩანს ინჟინერთა ნახაზებში; მის შესახებ უკვე კარგახანია სწერენ მთელ მსოფლიოში, პრესის ფურცლებს არ სცილდება სიტყვა — ა ს უ ა ნ ი.

მსოფლიოში ეს ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარე ნილოსზე, საბჭოთა კავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით განხორციელდება. ასუანის კაშხლის გრანდიოზულობა შეიძლება უფრო კარგად წარმოვიდგინოთ, თუ ვიტყვით, რომ მის ასაგებად 42 მილიონი ტონა მიწისა და კლდის მოთხრა დასჭირდებათ. მიწისა და ქვის რაოდენობა ხეოფსის 17 პირამიდას ააგებდა.

კაშხლის სიმაღლე 111 მეტრს მიაღწევს (ეს—30 სართულიანი სახლის სიმაღლეა), სიგანე კი ხუთი კილომეტრი ექნება. ასუანის კაშხალი არა მარტო მორწყავს უწყლო ადგილებს, არამედ ელექტროენერჯის დიდ რაოდენობასაც მისცემს ეგვიპტეს.

კაშხალი რომ მდინარის კალაპოტს გადაკეტავს, ნილოსში წყლის დონე 84 მეტრამდე ავა და წარმოიქმნება 500 კილომეტრი სიგრძის გრანდიოზული წყალსაცავი. ხომ სასიხარულოა ეს მოვლენა, მაგრამ ეგვიპტელებს აწუხებთ, რომ ხელოვნური ოკეანე ქვეშ დაიტანს ნუბიის უდაბნოს მზით გადამწვარ სივრცეებს, სადაც ახლა I და II ათასწლეულის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) უამრავი. ისტორიული ძეგლებია გაუანტული.

XIV — XI საუკუნეებში ეგვიპტის ფარაონებმა პირამიდების აგებას თავი მიანებეს და სამარხების მოწყობა ქვეყნის სიღრმეში, ნუბიის კლდეებში დაიწყეს. ძველი ეგვიპტური კულტურის ნამდვილი სიამაყეა ორი ტაძარი, ეგრეთ წოდებული აბუ-სამბელი. მთლიანად კლდეში გამოჭრილი, ისინი რამზესისა და მისი ცოლის პატივსაცემად აუგიათ. ამ ტაძრების ფასადის სიგანე 38 მეტრია, სიმაღლე—33. შენობა კლდეში ღრმად—68 მეტრზეა შეთხრილი. ფარაონ რამზესის ეს ტაძარი დაახლოებით 1250 წელს აუშენებიათ. მის შესასვლელთან უცნობ მოქანდაკეებს ერთი მთლიანი ქვისაგან, ოთხი ერთმანეთის მსგავსი, მჯდომარე მეფის ფიგურა გამოუქვეითათ. ფერხითი კი რამზეს მეფის ცოლისა და შვილების პატარა გამოსახულებებია. თითოეული ამ კოლოსის სიმაღლე 20 მე-

ტრია. მაგრამ ეს ტაძარი მარტო სიდიდით კი არ არის განთქმული. როგორც კი ნილოსის მხრიდან მზე ამოიწვერება, მისი შუქი ტაძრის ღრმა დარბაზებსა და გასასვლელებში შეიჭრება, ნათელს ჰფენს რამზესისა და ღმერთების ფიგურებს და აცოცხლებს თაღქვეშ შეყენებულ სვეტებსა და კედლების საოცარ მონატულობას.

მრავალი საუკუნეა სილის ოკეანეში დგას ეს დიდებული ისტორიული ძეგლი და დღეს თანამედროვე ადამიანი მაინც მოწიწებით, რაღაც გამოცნობი შიშის გრძნობით შეპყრებს მას. უნებლიედ გაშფოთებთ, გაძრწუნებთ ქვის კოლოსების ღიმილი, ოდნავ შესამჩნევი, უჩინარი ღიმილი. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას ახდენდნენ წმინდანებად აღიარებული ეს გოლიათები ძველი ეგვიპტის ადამიანებზე.

ნუბიის უდაბნო ადამიანთა ერთ-ერთი ადრეული ადგილსამყოფელია. მის ტერიტორიაზე მონუმენტური ძეგლების გარდა, მრავალი პატარა ტაძარი, სიმბაგრე, საგუმბაგო, ეკლესია და მეჩეთია.

ამას წინათ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ასამბლეას, დახმარებოდა კულტურის ამ უძველესი ძეგლების გადარჩენაში. ეგვიპტეში გაზავანილი იქნა არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ქიმიკოსები, გეოლოგები, ინჟინრები. მათ ადგილზევე შეამოწმეს ყოველივე და გამოიტანეს დასკვნა,


რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა სასწრაფოდ გაითხაროს შეუსწავლელი ადგილები, ყველაზე ძვირფასი ძეგლები კი უხიფათო ადგილებზე იქნას გადატანილი.

მაგრამ აბუ-სამბელის ტაძრების გადატანა, ათასტონიანი კლდეების ადგილიდან დაძვრა ხომ შეუძლებელი საქმეა? ამ ძეგლების ისტორიული ფასი და იშვიათი სილამაზე კი ნებას არ იძლევა, რომ ისინი ნილოსის ტალღების მსხვერპლი გახდნენ.

ინჟინრები ფიქრობენ, რომ ტექნიკური თვალსაზრისით ნუბიის ძეგლების გადარჩენა შეუძლებელი საქმე არ არის. მათ წინადადება შეიტანეს, ეს ადგილები მალალი დამბებით შემოიფარგლოს, წყალგაუმტარი კედლების სქელი რკალი გარსშემოევლოს იქაურობას. მაგრამ ეს სამუშაო დიდ ხარჯს მოითხოვს. ეგვიპტესა და სუდანის ქვეყნებს ასეთი თანხის გადახდის საშუალება არა აქვთ. ამიტომ ეგვიპტის მთავრობის თხოვნით იუნესკომ სპეციალური დამხმარე კომისია შექმნა, რომელიც ნუბიის ძეგლების დაცვაზე იზრუნებს.

ნუბიის ძეგლების გადარჩენა უმაგალითო, ჯერ არგაგონილი შემთხვევაა.


რამზეს II კოლოსები კვლავ ღიმილით შეეგებებიან აფრიკის მცხუნვარე მზეს.



ქვის ბურთები

1940 წელს, ქალაქ როენოსთან, ქვის კარი-
ერის აფეთქებისას მუშებმა უცნაური სურათი
დანიახეს: აფეთქების ადგილიდან ძირს, ხრამ-
ში მოგორავდა ქვის ბურთები. საიდან გაჩნდნენ
ეს ბურთები, როგორ წარმოიშვნენ ისინი?

გეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ მრავალი მი-
ლიონი წლის წინათ უკრაინის ტერიტორიაზე
ზღვა იყო, ზღვაში კი—მოქმედი ვულკანების
მთელი ჯაჭვი. ლავა ამოფრქვევისას ზღვის
ფსკერისაკენ მიდიოდა, ცივდებოდა და თან-
დათან ბურთის ფორმას იღებდა.



ზინ გამოიზონა ტალღონი?

1877 წლის 10 მარტს ამერიკის შერთებული
შტატების ორ ქალაქს—ბოსტონსა და ექს-
ტერს შორის გაყვანილი იქნა ტელეფონის ხაზი.
ეს ორი ქალაქი პირველად კაცობრიობის ისტო-
რიაში, დაუკავშირდა ერთმანეთს არარეგულე-
ბრივი კავშირგაბმულობით. ამავე წელს გერმანია-
მაც პირველად მოაწყო სახელმწიფო მნიშვნე-
ლობის სატელეფონო ქსელი.

ვინ იყო ამ საკაცობრიო მნიშვნელობის აღ-
მოჩენის ავტორი? ეს იყო ალექსანდრე ბელი.
ა. ბელი დაიბადა ბრიტანეთის ქალაქ ედინ-
ბურგში. მისი მამა დეკლამაციის მასწავლებე-
ლი იყო. ბელი ბავშვობიდანვე გაიტაცა მეტყვე-
ლების მექანიკამ. 1870 წელს იგი ამერიკის
შერთებულ შტატებში ბოსტონის უნივერსი-
ტეტში პროფესორად მიიწვიეს. იქ იგი გამოკე-
ლევებს აწარმოებდა ხმოვანთა და თანხმოვან-
თა რხევის საკითხებზე და თან უნივერსიტეტ-
ში კითხულობდა ლექციებს მეტყველების ორგა-
ნოების ფიზიოლოგიაში.

ა. ბელს გამოკვლევების პროცესში დაებადა
მეტად საინტერესო იდეა ელექტროაპარატის
საშუალებით გადაეცა ლაპარაკით გამოწვეული
რხევა. 1874 წელს, ონტარიოს შტატში ავარაკ-
ზე ყოფნის დროს, მან პირველად მიიღო მის-



თვის სასურველი შედეგები: აპარატის საშუა-
ლებით შეძლო გაჭიმულ მავთულზე მიეღო სა-
ჭირო რხევა, ხოლო ორი წლის შემდეგ
ტელეფონის საშუალებით მოახერხა ელაპარაკა
თავის ბიძასთან უკვე რვა კილომეტრის მან-
ძილზე.

საფრანკეთის მთავრობამ ბელს ვოლტას სა-
ხელობის პრემია მისცა 50 000 ფრანკის რაო-
დენობით. ბელმა ეს ფული ლაბორატორიის
გაფართოებასა და გაუმჯობესებას მოახმარა.

**უიშვიათისი ცხოველი
მსოფლიოში**

თითქმის ყოველწლიურად იგზავნება ტანმა-
ნის კუნძულზე მონადირეებისა და ბიოლოგე-
ბის სპეციალური ექსპედიციები. ყველაზე მიუ-
ვალ ადგილებში იკვლევენ ისინი ბლიკებსა და
ცხოველთა ნაკვალევს, აგებენ ხაფანგებს, ყუ-
რადლებით აკვირდებიან თითოეულ ჩრდილს,
დაძაბული უსმენენ ყოველ გაფარუნებას. ყვე-
ლა ეს ღონისძიება კი მიმართულია ერთი მიზ-
ნისაკენ: დაჭერილი იქნეს მსოფლიოში ერთ-
ერთი უიშვიათისი ცხოველი—ჩანთოსანი მგელი.
ეს ცხოველი, რომელიც მხოლოდ ტანმანიაზე
ბინადრობს, უკანასკნელად 1922 წელს დაიჭი-
რეს. თითქმის შემდეგშიაც ნახეს იგი ადგილო-
ბრივმა მცხოვრებლებმა, მაგრამ ხელთ ვერა-
ვინ ვერ ჩაიგდო. ზოგიერთი ზოოლოგის აზრით,
ჩანთოსანი მგელი უკვე გადაშენდა. მაგრამ მისი
ძებნა მაინც გრძელდება.

**ერთი—ყველასათვის,
ყველა—ერთისათვის**

წყალდიდობის დროს, როცა ჭიანჭველების
ბუდეს საფრთხე ემუქრება, ჭიანჭველები მოქ-
მედებენ პრინციპით: ერთი—ყველასათვის, ყვე-
ლა—ერთისათვის. ისინი ერთად შექუჩდებიან
ხოლმე გორგალის მსგავსად. ცენტრში ჭუბრე-
ბი, გარშემო კი მოზრდილი ჭიანჭველებია მო-
თავსებული.

გორგალი ტრიალ-ტრიალით მიცურავს ისე,
რომ, როცა ზოგიერთი ჭიანჭველა წყალში
ეშვება, სხვები ამ დროს წყალს ზემოთ რჩები-
ან. ამრიგად, თითოეულ მათგანს მხოლოდ მცირე
ხნით უხდება წყალში ყოფნა. ასე გრძელდება
მანამ, ვიდრე გორგალი ნაპირამდე არ მიცურ-
დება, ან წყალი არ დაიკლებს.

ორბინალური ანთოპალმისტარი

ვთქვათ, ღამით სადმე რაღაცის დაწერა და-
გჭირდა, მაგრამ ირგვლივ სიბნელეა. რა უნდა
ვქნათ? სწორედ ამ დროს გამოგვადგება ორიბი-
ნალური ანთოპალმისტარი, რომელიც
შანხაის საექსპერიმენტო ქარხანამ გამოუშვა.

ვიღებთ ამ კალმისტარს და ხელს ვაჭერთ
ჩამრთველ ლილას. ინთება კალმის ქვემოდაც
მოთავსებული პაწაწინა ელექტრონათურა. ელე-
ქტრონათურიდან შუქი ქაღალდს ეცემა და საკ-
მარისად ანათებს მას, რის შემდეგაც შეიძლე-
ვა დაუბრკოლებლად ვწეროთ.

საოკეანო გზა

ბევრი საოკეანო გზა საგრძნობლად შემოკლ-
დებოდა, ყინულოვან ოკეანეში პირდაპირ გას-
ვლის საშუალება რომ იყოს. მაგალითად, ლონ-
დონიდან ტოკიომდე მანძილი 16 ათას კილო-
მეტრიდან 10 ათას კილომეტრამდე შემცირდე-
ბოდა. კიდევ მეტი. მანძილის მოგება შეიძლება
სხვა მარშრუტებზეც. მომავალში, ალბათ, გე-
მების ქარანებს ატომური ყინულმჭრელები
გაუძღვებიან წინ და ყინულში გაჭრილი
დროებითი არხებით გაიყვანენ გემებს. მაგრამ,
ნუთუ არ შეიძლება ამ საკითხის სხვაგვარად
გადაჭრა ისე, რომ ყველა გემს თავისუფლად
შეეძლოს ყინულოვან ოკეანეში გაგლა?

ამას წინათ კალიფორნიის უნივერსიტეტის
პროფესორმა იუიტამ ერთი საინტერესო მოსაზ-
რება წამოაყენა:

როგორც ცნობილია, ჩრდილო ყინულოვან
ოკეანეში გადის თბილი დინება, რომელიც სად-
ღაც ბერინგის სრუტესთან ქრება და ოკეანის
მოზირდაპირე მხარეს ჩნდება. ეს დინება რომ
უფრო თბილი და მძლავრი იყოს, იგი ად-
ვილად გახსნიდა ოკეანეში გზას, მაგრამ ეგებ
მისი გათბობა შესაძლებელი იყოს? ამერიკელი
მეცნიერი ამისათვის ალიასკასა და ჩუკოტკაზე
ატომის დიდი ელექტროსადგურების აგებას
გეთავაზობს, რომელიც ადვილად გაათბობ-
დნენ წყლის დიდ მასივებს. ადვილი შესაძლე-
ბელია, რომ ეს მოსაზრება უფრო ახლოს იდ-



გეს სინამდვილესთან, ვიდრე სხვა ჰიპოთეზები,
რომელთა მიხედვით ყინულოვანი ოკეანის გათ-
ბობისათვის ბერინგის სრუტის ჩაკეტვაა გან-
ზარახული.



„პიონერს უყვარს ბუნება, იგი მწვანე ნარგავების, სასარგებლო ფრინველებისა და ცხოველების დამცველია.“—სწერია ნორჩ პიონერთა კანონებში. ამიტომ ყოველი პიონერის მოვალეობაა მოუაროს ნარგავებს, ხეხილს, დაეხმაროს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ხეხილის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში; უნდა შეეძლოს ხეხილის დაავადებების გამოცნობა და მათთან ბრძოლა; თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობის განვითარების დიდ და საპატიო საქმეში.
ჩვენი მკითხველებო, „პიონერის კლუბში“ მოგიწევთ საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი ალექსი ბუჩუკური. იგი იმდენა სასარგებლო რჩევადარივებებს, რომლებიც დაგეხმარებათ ხეხილის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოვსკოთ ხეხილის მავნებლები!

ჩემო პატარა მეგობრებო, თქვენთვის ცნობილია, რომ ხეხილის ნარგავებს მრავალი სახის მავნებელი და დაავადება აზიანებს. ისინი გარდა იმისა, რომ იწვევენ ხეხილის დაქინებას, ვაზმობას, ამავე დროს ძალზე ამცირებენ ხილის მოსავალს, აუარესებენ მის ხარისხს.

თუ თქვენ მხარში ამოუდგებით უფროსებს და მათთან ერთად ბრძოლებით ხეხილის მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ, მაშინ თავიდან ავიცილებთ იმ მოსალოდნელ დიდ ზარალს, რასაც მავნებლები იწვევენ.

მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი ორ ჯგუფად იყოფა. ესენია მექანიკური და ქიმიური ბრძოლის მეთოდები.

ხეხილის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის მთელი წლის მანძილზე გრძელდება, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მავნებელთან ან რა ავადმყოფობასთან ვეაქვს საქმე. მართალია, ხეხილის მავნებლები გაზაფხულზე იწყებენ განვითარებას, მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები უნდა დაიწყოთ ზაფხულში, ხილის მოსავლის აღების დამთავრებამდე, ყოველ ორ დღეში ამ საჭირო სარტყელების შეხსნა და აქ მომწვედელი პატლების შეგროვება და მოსაობა.

ნისძიებები სხვადასხვა დროს და შერჩეულ მომენტში ტარდება.

მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ მექანიკური წესით ბრძოლა შედარებით იოლია, იგი არ მოითხოვს დიდ ფიზიკურ ძალასა და გამოცდილებას. ამ ღონისძიებებს ეკუთვნის ნასხლავი, დაავადებული ტოტების შეგროვება და დაწვა; ხის ტანისა და მთავარი ტოტების კირის ხსნარით შეთეთრება; ჩამოცვენილი ხმელი ფოთლების მოფოტება; როგორც აბრეშუმისკოვის კვერცხების ტოტებიდან აფხევა ამ ტოტების აკრა; შეგროვება და დაწვა; ვაშლისა და მსხლის ხეების ქვეშ საფენების გაშლა და ტოტების დარჩენით საფენზე ჩამოცვენილი ხეხილის შეგროვება და მათი მოსაობა; ზაფხულში, ხილის მოსავლის აღების დამთავრებამდე, ყოველ ორ დღეში, ძირს ჩამოცვენილი, დამპალი ნაყოფის შეგროვება, მისი ბაილიდან გატანა; ხის ტანზე საჭერი სარტყელებისა და წებოს რგოლების გაკეთება, ყოველ ორ-სამ დღეში ამ საჭერი სარტყელების შეხსნა და აქ მომწვედელი პატლების შეგროვება და მოსაობა.

მავნებლებისა და ავადმყოფობებთან ბრძოლის ქიმიური წესი შედარებით რთული სამუშაოებისაგან შედგება, რომელიც დიდ სიფრთხილესთან ერთად საკმაო გამოცდილებასაც მოითხოვს და იგი მხოლოდ ამ საქმის მკოდნეებს უნდა მივანდოთ.

იმ ბალებში, სადაც ნიადაგი შემოდგომაზე არ მოუხნავთ ან არ შემოუბარავთ, ხეხილის ქვეშ ყრია და ხეზეც შემოარჩენილია დამპალი ან ვაზმბარი ნაყოფი, ფოთლები. ყველა ისინი აუცილებლად უნდა შეგროვდეს და გატანილ იქნას ბაილიდან, რადგან დამპალ ნაყოფზე ზამთარს ატარებენ სი-დამპლის გამომწვევი სოკოები, ფოთლებზე კი —

პიონერს უყვარს მშობლი...

...რომ უნგრეთის პიონერთა კავშირი აერთიანებს 9—14 წლის ბავშვებს. ამათგან 8—11 წლამდე მათ «ნორჩ მედოლებს» უწოდებენ. «ნორჩ მედოლები» ცისფერ ყელსახვევებს ატარებენ, პიონერები კი—წითელს. უნგრელ პიონერებს წესად აქვთ შეზღუდული ყოველი რგოლისათვის რაიმე სახელის მინიჭება. ვაჟთა რგოლებს გარეულ ცხოველთა სახელებს არქმევენ, გოგონებისას კი—ყვავილთა სახელებს.

...რომ მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორის ქუჩებში შეიძლება დანახოთ გრძელ, ჭრელ-ჭრელ ხალათებში გამოწყობილი ბავშვები,

ესენი მონღოლი პიონერები არიან. მონღოლი პიონერები უფროსებს მხარში უდგანან და მათთან ერთად ნადირობენ, მწყემსავენ საქონელს.

...რომ საფრანგეთში ბავშვთა მრავალი ორგანიზაციაა, მათ შორის ყველაზე დიდი—«მამაცთა კავშირია». «მამაცთა კავშირი» ქალაქებში მცხოვრებ ბავშვებს აერთიანებს. ისინი ცისფერ ხალათებს და წითელ-კანტიან ლურჯ ყელსახვევს ატარებენ. «მამაცთა კავშირებს» სკოლებში ორგანიზაციული მუშაობის უფლება არა აქვთ. ისინი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ჯგუფდებიან. ორგანიზაცია უშვებს ჟურნალ «გვიანს».

...რომ ამომავალ მზის შუქზე გადაჯვარდინებული ორი ნაძვი ინგლისელ ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაცია—«ტყის ხალხის» ემბლემაა. მათი დევიზია: «მშვიდობა მეგობრობით განვამტკიცოთ» ამ ორგანიზაციაში სულ 4000 ბავშვია. ბავშვები თავიანთი ბანაკის მოსაწყობად და შეკრების ჩასატარებელი ადგილებისათვის საჭირო თანხას თვითონვე აგროვებენ.

ქეცი, ხეხილის ბალნიჯოები, მსხლის თეთრი სილაქავე და სხვ.

კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ამ გაზაფხულზე ხეხილის გასხვლას ატარებენ. ნასხლავი ტოტები თუ ბაღში დარჩა, ცხაღია, მავნებლები და ავადმყოფობანი ისევე გავრცელდება ნარგავებში. ეს ღონისძიება მიმართულია ფარიანების, ქერქიჭამიების, ვაშლის ტოტის კიბოსა და ჟანგის, აგრეთვე ნაცრის, კურკოვანთა წერნაგის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ცნობილია, რომ ისეთი მავნებლები, როგორცაა ოქროკუდი და კუნელის პეპელას მატლები, ხეებზე აბლაბუდის ძაფით ჩამოკიდებულ გამხმარ ფოთლებში იკეთებენ ბუდეებს და ზამთარს ისე ატარებენ. ცხაღია, ასეთი ფოთლების შემჩნევა ზამთარში ადვილია და ამდენად, მათი შეკრება და შერე დაწვა მავნებლებს ანადგურებს.

მთელი რიგი მავნებლებისა, როგორცაა ვაშლის ნაყოფიჭამია, ცხვირგრძელები, კალიფორნიის ფარიანა, მსხლის ფსილა და ბალნიჯო ზამთარს ხეხილის ტანის და მთავარი ტოტების შემხმარი ქერქის ქვეშ ატარებენ. გაზაფხულზე, თუ ხის ძირის ირგვლივ რაიმე საფენს ვაშლით და ამ შემხმარ ქერქს ჩამოვდებოკავთ (რაც ადვილია ნაწვიმარზე), მავნებლები და დავწვავთ ამით მოგსაობთ მთელ რიგ მავნებლებს. შემხმარი ქერქის ჩამოვხევის შემდეგ ხეხილი აუცილებლად უნდა შეეთეთრდეს თანხარევი კირის ხსნარით. ასეთი ხსნარი ამოღესაგს ხის პატარ-პატარა ნაპრალებს და მავნებლებს დაბუდრებს საშუალებას მოუსპობს.

ცხვირგრძელა კოკრიჭამიები აზიანებენ კოკრებში. ისინი კვერცხებს გაზაფხულზე დებენ კვირტებში; ვითარდება მატლი, რომელიც ბუტკოსა და ყვავილის მტკრიანებით იკვებება. ასეთი კოკრები ალარ ვითარდება, ალარ იშლება, ხმება და დაბლა ცვივა. მათ წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ხეხილის ტოტების გაბერტყვა კვირტების დაბერვიდან კოკრების გამოჩენამდე. ამ სამუშაოს ჩასატარებლად საჭიროა ხეების ქვეშ დაიგოს სა-

ფენები და ხის ტოტები ჭიკოებით დაიბერტყოს. ტოტის ქერქი რომ არ დაზიანდეს, ჭიკოს ერთ თავში რაიმე ქსოვილის ძველი ნაჭრები უნდა შემოვხვიოს. დაბერტყვა უქარო ამინდში, დილის საათებში უნდა ხდებოდეს. საფენზე ჩამოცვენილი ხოჭოები წყალგარეულ ნავთში უნდა ჩაიყაროს და ისე მოისპოს. ეს სამუშაო 3—4 ჯერ უნდა ჩატარდეს.

ზოგიერთი მავნებლის შეგროვება და მოსპობა საჭერი სარტყელებითაც შეიძლება. საჭერ სარტყელებში თავს იყრიან ნაყოფიჭამიები, ცხვირგრძელები, არაფარდი აბრეშუმქსოველები, კვირტის ფოთოლმხვევეები და სხვები. საჭერ სარტყელს ხის ტანზე ამაგრებენ. იგი მზადდება ძველი ტომარების, სქელი შესახვევი ქალაღის, ბურბუშელას, ნამჯისა და ჭილოფისაგან. სარტყელის სიგანე 12—15 სანტიმეტრი უნდა იყოს. ისინი გაზაფხულიდან შემოდგომამდეა ხეზე შემოკრული წვრილი ქანაფით. დროგამომშვებით, ეს სარტყელები 3—7 დღეში ერთხელ უნდა შეიხსნას და მის ქვეშ შეხიზნული მავნებლები და ჭუპრები წყალგარეულ ნავთთან ჭურჭელში ჩაიყაროს და ისე მოისპოს.

მოსავლის აოგებამდე ხშირად ნახავთ ხეხილის ბაღებში ქარის მიერ ჩამოყრილ და ჭიანჭამ ნაყოფს, რომელიც აუცილებლად უნდა შეგროვდეს და გატანილ იქნას ყოველ 3—4 დღეში ერთხელ ბაღიდან, რადგან მასში ბუდობენ ნაყოფიჭამიები და ცხვირგრძელები, რომლებიც ძირს ჩამოყრილ ნაყოფს მიატრევენ და ისევე ხეზე ავლენ ახალ ნაყოფში შესაძრომად.

ამა თქვენ იცით, ჩემო პატარა მეზობლებო, ენერგიულად ებრძოლეთ ჩვენი ბაღ-ვენახების მავნებლებს, მხარში ამოუდევით უფროსებს და თქვენი წვლილი შეიტანეთ ჩვენი რესპუბლიკის მეზობლების განვითარების დიდ და საპატიო საქმეში.


ალ. ბუჩუკური

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი

გამოჩენილ მწერალს, კომპოზიტორს, მხატვარს ან მეცნიერს, რომელმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, კლასიკოსს უწოდებენ. საინტერესო ისტორია აქვს ამ სიტყვას. ძველ რომში საზოგადოება ქონების მიხედვით ხუთ კლასად იყო დაყოფილი. იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდა ადამიანი, ისაზღვრებოდა მისი ადგილი საზოგადოებაში. ის მოქალაქეები, რომლებიც პირველ კლასში შედიოდნენ, განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ—ფაქტიურად ისინი წყვეტდნენ ყოველგვარ სა-

კლასიკოსი
რატომ
ვამბობთ
ასე...

ხელმწიფოებრივ საქმეებს. ამ უმაღლეს კლასში შემავალთათვის დამკვიდრდა განსაკუთრებული სახელი—„კლასიკოსები“.
შემდგომ, ბერძენმა ფილოსოფოსებმა, პომპროსსა და ძველ მწერალთა ტექსტებს რომ სწავლობდნენ, მწერალთა სიები იმავე სახით შეადგინეს, როგორც რომში ადგენდნენ მოქალაქეთა სიებს: ყველაზე გამოჩენილი და სახელოვანი მწერლები პირველ კლასში—„კლასიკოსებში“ იქნენ შეყვანილი.
ასე დამკვიდრდა ჯერ ბერძულში, შემდეგ კი სხვა ენებში, სიტყვა „კლასიკოსი“.



კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. სუბტროპიკული მცენარე; 3. საფუტკრე; 5 რ. გვეტაძის რომანი; 6. საღებავი; 8. სიბრტყის ნაწილი, რომელიც წრეხაზით არის შემოსაზღვრული; 9. ბალახი; 11. მეტყველების ორგანო; 13. წისქვილის ნაწილი; 15. წინააღმდეგობის საზომი ერთეული ელექტრობაში; 18.

რაიონული ცენტრი საქართველოში; 19. ქალაქი ურალში; 20. ბუვიეს რომანი; 21. სახობო ლექსი; 23. ხმელეთის ჩაღრმავებული ადგილი, სადაც მოთავსებულია წყალი; 25. მდინარე ყაზახეთში; 26. დარგომიესკის ოპერა; 27. მთა თბილისის ახლოს.

ვერტიკალურად: 1. მუსიკალური ინსტრუმენტი; 2. ყვავილი; 3. ნოტი; 4. ფრინველი; 5. ქედის ზედა ნაწილი; 6. მდინარე პეჩორას მარცხენა შენაკადი; 7. რაიონული ცენტრი საქართველოში; 8. მცენარე; 9. მალარხარისხოვანი მინა; 10. ა. ყაზბეგის ერთერთი მოთხრობის პერსონაჟი; 12. ნ. ლომოურის მოთხრობა; 14. ძველი კოლხეთის დედაქალაქი; 16. მდინარე ოკას შენაკადი; 17. მუსიკალური ბგერა; 21. მდინარე სსრკ-ში; 22. გამოუწვავი აგური; 23. ქალაქი ესტონეთში; 24. ავტონომიური რესპუბლიკა.

გამოცანა

მუდამ სანდოდ
სახლს დარაჯობს,
არცა ყუფს, არც იკბინება.

მაგრამ სახლში
არვის უშვებს,
ვისაც არ აქვს შესვლის ნება.

ნ. კლდიაშვილი




ემკალიპტი

დედამიწაზე არსებულ ხეებს შორის ყველაზე მაღალი ხეა ევკალიპტი, ტიპური სუბტროპიკული მცენარე. მისი სამშობლო ავსტრალიაა. ცნობილია ევკალიპტები, რომელთა სიმაღლე ას ორმოცდაათ მეტრს აღემატება, სიმსხო კი ოცდაათ მეტრზე მეტი აქვთ. ერთმა ავსტრალიელმა ასეთი ევკალიპტის ფულტროში ბინა გაიკეთა და შიგ ცოლითა და სამი ბავშვით ცხოვრობს. როგორც თვითონ ამბობს, მისი ბინა ყოველთვის თბილია და მშრალი. მეორე ავსტრა-



პასუხები

თავხატები
სამი ტოლი ოთხკუთხედი მიიღება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები



გამოცანა
სირაქლემა.

ამოცანა

საათის ციფრთა ჯამი იყოფა სამ ჯგუფად ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები, ყოველი ჯგუფის ციფრთა ჯამი უდრის 26.



კროსვორდი

ვერტიკალურად: 1. ლომი; 2. ლენა; 3. ფშავი; 4. მეტრი; 7. ვარდი; 8. იონჯა; 9. წალკა; 10. მელია; 13. ტაიმი; 15. ტყვია; 16. ერწო; 17. ხიდი.

ჰორიზონტალურად: 5. შიმპანზე; 6. ზვინი; 9. წვიმა; 11. ენძელა; 12. პიტნა; 14. ალტაი; 18. მარეღისი.

ლიელს ასეთსავე ფულტროში ცხენების თავლა აქვს მოწყობილი.

ევკალიპტის აწოლტილ ლეროზე ვერც ერთ როკს ან ტოტს ვერ ნახავთ. მხოლოდ თვალაუწვდენ სიმაღლეზე გვირგვინდება იგი მწვანე ტოტებით, რომლებიც თითქმის არაფითარ ჩრდილს არ იძლევიან: ფოთლები მზისკენ, ჩვეულებრივ, ზედაპირით კი არ არის მიშვერილი, არამედ აღმაცერად, და მზის სხივები მათ შორის თავისუფლად სხლტებიან.

ევკალიპტებს მრავალი თავისებურება ახასიათებთ. ისინი „წყლის ტუმბოების“ მსგავსად თავიანთ გარშემო მიწას აშრობენ და არემარეს მაღარისაგან იცავენ. ამავე დროს, ისინი საოცარი სისწრაფით იზრდებიან.

35 წლის ევკალიპტი უკვე ორასწლოვანი მუხის სიდიდისაა. ოც წელიწადში ერთი ჰექტარი ევკალიპტის ტყე რვაას კუბურ მეტრ მერქანს იძლევა.

„ПIONEER“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина, № 4, 1960. Тбилиси, пр. Пашаева, 91. Тел. 3-81-85.
რედაქციის მისამართი: თბილისი; პლენარის პრ. 91. ტელ. 3-81-85.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ
ფაბი 2 მან.
საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“
ფე 00787. ტირ. 23.000 პირ. ფორმ. რაოდ. 41/4, ფიხ. ფორმ. რაოდ. 2 ხელმოწერ. დასაბ. 29/III-60 წ.
სტამბის შეფ. № 367 გამომც. შეფ. № 163. საქ. კ. ც. კის. გამომცემლობის კ/კომბინატი „კომუნისტ“.



1. ვაშლის ჩრჩილი; 2. კვერცხები ტოტის ქერქვეშ; 3. მატლი; 4. მატლი და მის მიერ დაზიანებული ადგილები; 5. კუბრი.




1. ვაშლის სავილქამია; 2. მატლი; 3. მატლი ცოკორში; 4. დაზიანებული ცოკორი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



1. რგოლური აბრეშუმქსოვი; 2. ხედი; 3. კვერცხების განლაგება ტოტზე; 4. მატლი და მის მიერ დაზიანებული ადგილები; 5. კუბრი.



1. კუნთის ქუკილა; 2. გამოსაზამორბელი ბუდეები; 3. მატლი და მის მიერ დაზიანებული ფოთლები; 4. კუბრი.



სუხეცა მავნეობა


6

ნახატები
ბელგეკაიასი




საქართველო
განმანათლებლები

გ. ი. ლენინის
სამუშაოთა გორაკი.



სახლი ქ. ულიანოვსკი,
სადაც დაიბადა გ. ი. ლენინი.

ქ. ყაზანის უნივერსტეტი.
აქ 1887 წელს სწავლობდა
გ. ი. ლენინი.



გარეკანის პირველ
გვერდზე
ლენინი—გიმნაზიული

ბ. გ. თოთბაძისა